

სს “ლიბერთი ბანკი” და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს „ლიბერთი ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში “ჯგუფი”) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის მომზადებულ მოგება-ზარალის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრინციპებსა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ზემოაღნიშნული რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი აუდიტორული დასკვნისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მათი ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3 აპრილი, 2014 წ.

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	5

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა .....	6
2. მომზადების საფუძველი .....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	26
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ.....	28
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	30
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	31
8. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	31
9. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	35
10. ძირითადი საშუალებები .....	35
11. არამატერიალური აქტივები .....	37
12. გადასახადები.....	38
13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები .....	40
14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე .....	42
15. ვალდებულებები კლიენტების მიმართ.....	43
16. კაპიტალი .....	43
17. პირობითი ვალდებულებები .....	46
18. წმინდა საკომისიო შემოსავალი.....	48
19. სხვა შემოსავალი.....	48
20. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.....	49
21. რისკის მართვა.....	49
22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები .....	59
23. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	64
24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	65
25. კაპიტალის ადეკვატურობა.....	68
26. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	70

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

	<i>შენიშვნა</i>	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	355,089	232,954
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	40,451	2,673
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	600,080	378,118
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	133,441	59,159
ძირითადი საშუალებები	10	128,325	126,095
არამატერიალური აქტივები	11	9,660	9,280
წინასწარი გადახდები	13	9,927	9,586
სხვა აქტივები	13	16,641	21,067
<b>სულ აქტივები</b>		<b>1,293,614</b>	<b>838,932</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	14	2,342	28,173
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	15	1,158,671	696,417
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	12	7,314	3,746
სხვა ვალდებულებები	13	11,179	11,934
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>1,179,506</b>	<b>740,270</b>
<b>კაპიტალი</b>	16		
საწესდებო კაპიტალი		53,284	53,284
დამატებით შეტანილი კაპიტალი		42,559	42,559
პრივილეგირებული აქციები		5,179	893
აკუმულირებული ზარალი		(7,196)	(18,839)
სხვა რეზერვები		20,282	20,765
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>114,108</b>	<b>98,662</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>1,293,614</b>	<b>838,932</b>

**ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:**

გიორგი არველაძე

გენერალური დირექტორი

ზურაბ წულაია

ფინანსური დირექტორი

3 აპრილი, 2014 წ.

*თანდართული შენიშვნები 6-71 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.*

## მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		142,930	109,892
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		8,592	11,380
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		3,622	2,937
		<b>155,144</b>	<b>124,209</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(97,411)	(66,617)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(1,441)	(3,283)
კაპიტალში პრობითი მონაწილეობა		-	(2,264)
სხვა		(206)	(110)
		<b>(99,058)</b>	<b>(72,274)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>56,086</b>	<b>51,935</b>
სესხის გაუფასურების რეზერვის ამობრუნება/(ხარჯი)	8	3,733	(12,504)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის ამობრუნების/(ხარჯის) შემდგომ</b>		<b>59,819</b>	<b>39,431</b>
წმინდა საკომისიო შემოსავალი	18	19,974	28,855
<i>წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:</i>			
- გარიგებებიდან		6,959	6,056
- საკურსო სხვაობებიდან		(139)	(77)
სხვა შემოსავალი	19	6,224	4,817
<b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>33,018</b>	<b>39,651</b>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	20	(41,866)	(37,605)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(20,391)	(18,900)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		(11,780)	(10,005)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,237)	(1,902)
სხვა გაუფასურება და ანარიცხები	13	(1,118)	(885)
<b>არასაპროცენტო ხარჯი</b>		<b>(77,392)</b>	<b>(69,297)</b>
<b>მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>		<b>15,445</b>	<b>9,785</b>
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	12	2,620	(4,601)
<b>წმინდა მოგება</b>		<b>18,065</b>	<b>5,184</b>
<b>მოგება ერთ აქციაზე:</b>	16		
- საბაზო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე (მთლიანი თანხა)		0.00315	0.00111

თანდართული შენიშვნები 6-71 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<i>2013</i>	<i>2012</i>
<b>წმინდა მოგება</b>		<b>18,065</b>	<b>5,184</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>			
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:</i>			
ხანძრით გამოწვეული დანაკარგის გამო შენობის გაუფასურება	10	-	(608)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	12, 16	-	91
<b>წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება</b>		<b>-</b>	<b>(517)</b>
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა</b>		<b>-</b>	<b>(517)</b>
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>18,065</b>	<b>4,667</b>

თანდართული შენიშვნები 6-71 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

	<b>ბანკის აქციონერთათვის განკუთვნილი</b>						
	<b>სააქციო კაპი- ტალი</b>	<b>დამა- ტებით შეტანილი კაპიტალი</b>	<b>პრივი- ლეგირ- ბული აქციები</b>	<b>გამოს- ყიდული აქციები</b>	<b>აკუმულირე ბული ზარალი</b>	<b>სხვა რეზერ- ვები</b>	<b>სულ</b>
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>42,708</b>	<b>32,809</b>	-	-	<b>(24,504)</b>	<b>21,763</b>	<b>72,776</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	-	-	-	5,184	(517)	4,667
გადაფასების რეზერვის ცვეთა (მე-16 შენიშვნა)	-	-	-	-	481	(481)	-
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდა (მე-16 შენიშვნა)	-	1,712	-	-	-	-	1,712
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-16 შენიშვნა)	10,576	8,038	-	-	-	-	18,614
პრივილეგირებული აქციების გამოშვება (მე-16 შენიშვნა)	-	-	893	-	-	-	893
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>53,284</b>	<b>42,559</b>	<b>893</b>	-	<b>(18,839)</b>	<b>20,765</b>	<b>98,662</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	-	-	-	18,065	-	18,065
გადაფასების რეზერვის ცვეთა (მე-16 შენიშვნა)	-	-	-	-	483	(483)	-
გადავადებული გადასახადი (ცვლილება შეფასებაში)	-	-	-	-	(6,188)	-	(6,188)
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები (მე-16 შენიშვნა)	-	-	-	-	(717)	-	(717)
პრივილეგირებული აქციების გამოშვება (მე-16 შენიშვნა)	-	-	4,286	-	-	-	4,286
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>53,284</b>	<b>42,559</b>	<b>5,179</b>	-	<b>(7,196)</b>	<b>20,282</b>	<b>114,108</b>

თანდართული შენიშვნები 6-71 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		175,475	129,929
გადახდილი პროცენტი		(89,468)	(70,512)
მიღებული საკომისიო		24,642	33,147
გადახდილი საკომისიო		(4,463)	(4,503)
უცხოურ ვალუტებში განხორციელებული ოპერაციებიდან			
რეალიზებული წმინდა მოგება		6,690	6,183
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	8, 13	9,818	163
სხვა მიღებული შემოსავალი		6,030	4,388
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(41,130)	(36,711)
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები		(21,552)	(20,664)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>66,042</b>	<b>41,420</b>
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(64,322)	20,711
კლიენტებზე გაცემული სესხები		(249,187)	(75,058)
სხვა აქტივები		3,593	(10,304)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		1,095	6,724
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		444,074	89,999
სხვა ვალდებულებები		(3,065)	(1,416)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>198,230</b>	<b>72,076</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>198,230</b>	<b>72,076</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობა გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		200	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა		(341,170)	(121,730)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების შექენა		270,063	165,598
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(15,132)	(20,373)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		53	-
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(85,986)</b>	<b>23,495</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
პრივილეგირებული აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი		4,286	893
პრივილეგირებული აქციების მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები		(717)	-
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>3,569</b>	<b>893</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		6,322	(225)
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)</b>		<b>122,135</b>	<b>96,239</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი</b>	6	<b>232,954</b>	<b>136,715</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო</b>	6	<b>355,089</b>	<b>232,954</b>

თანდართული შენიშვნები 6-71 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(ათას ლარში)

### 1. ძირითადი საქმიანობა

სს "ლიბერთი ბანკი" (შემდგომში "ბანკი") არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე 1993 წელს ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში "სებ") მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული #3500/10 ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა საქართველოში მოქმედ 603 (2012 წლის 31 დეკემბერი: 434) ფილიალს, სერვის ცენტრს, სადისტრიბუციო ცენტრსა და მობილურ სერვის ცენტრს. ბანკის იურიდიული მისამართია ლიბერთი თაუერი, საქართველო, 0162 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #74.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმოქცევაში არსებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები. ხოლო დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული მათგანი ჩვეულებრივი აქციების 1%-ზე ნაკლებს ფლობდა.

	<i>2013</i>	<i>2012</i>
	<i>წილობრივი მონაწილეობა, %</i>	<i>წილობრივი მონაწილეობა, %</i>
<b>აქციონერი</b>		
შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია" (ყოფილი შპს "ლიბერთი კაპიტალი")	70.83%	72.44%
BNY Limited (ნომინალური მფლობელი)	11.71%	11.71%
სს "ლიბერთი კაპიტალი"	7.36%	8.05%
Stichting Liberty ESOP*	3.16%	3.16%
სხვა აქციონერები (რომელთაგან თითოეული ფლობს აქციათა 1%-ზე ნაკლებს)	6.94%	4.64%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

\* ბანკის თანამშრომელთა აქციებით კომპენსაციისთვის განკუთვნილი Stichting Liberty ESOP-სთვის გადავადებული გადახდის პრინციპით გადაცემული ჩვეულებრივი აქციები (მე-16 შენიშვნა).

ბანკი წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიას და მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. მიმოქცევაში არსებულმა აქციებმა 2013 წლის 31 დეკემბრისთვის 21.8% შეადგინა (2012 წლის 31 დეკემბერი: 19.5%).

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში "ჯგუფი") მშობელ კომპანიას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ საწარმოებს:

დასახელება	ქვეყანა	ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილი		დაფუძნების თარიღი	საქმიანობა
		31 დეკემბერი, 2013 წ.	31 დეკემბერი, 2012 წ.		
შპს "Bus Stop"	საქართველო	100.00%	100.00%	2009 წლის 27 აგვისტო	გარე სარეკლამო მომსახურება
სს "სმარტექსი"	საქართველო	21.26%	21.47%	2009 წლის 5 იანვარი	საკურიერო მომსახურება/ ბიზნეს ინკუბატორი და "ბიზნეს- ანგელოზი"

21.26%-ს ფლობს ბანკი, ხოლო 78.74%-ს სს "ლიბერთი კაპიტალი", რომლის 96.45%-ის მეწილეც ლადო გურგენიძეა. ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში მისი აღრიცხვა ხდება კაპიტალ-მეთოდით

*(ათას ლარში)***1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)**

ჯგუფის კაპიტალის საკონტროლო პაკეტის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი და მკონტროლებელი მხარე არის ბატონი დან კოსტაჩე პატრისიუ.

31 დეკემბრისთვის შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას" საკუთრებაში არსებული 3,201,321,628 ჩვეულებრივი აქცია (მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების 58.18%) დაყადაღებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანების საფუძველზე სამოქალაქო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 26-ე შენიშვნა.

**2. მომზადების საფუძველი****ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ფასს-ის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, წარმოებული ინსტრუმენტების, საინვესტიციო ქონების, შენობა-ნაგებობების და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გარდა, ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თითო აქციის ღირებულების გარდა, და თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა****ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში**

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო ქვემოაღნიშნული შეცვლილი „ფასს“:

*ბასს (IAS) 1 "სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარმოდგენა" – ბასს 1-ში შესული ცვლილება*

ბასს 1-ში შესული ცვლილებები აჯგუფებს სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს. მუხლები, რომელთა მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაცია შესაძლებელი იყო მომავალში ახლა უკვე უნდა აისახოს განცალკევებით იმ მუხლებისგან, რომელთა რეკლასიფიკაცია არასდროს მოხდება. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა თუ ანგარიშგებაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს სხვა სრული შემოსავალი 2013 და 2012 წლებში

*ბასს 32 "წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებისთვის მოგების განაწილების საგადასახადო შედეგი" (ცვლილება)*

ცვლილებები „ბასს“ 32-ში "ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" ეს გაუმჯობესება განმარტავს, რომ მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა აქციების მფლობელებისთვის მოგების განაწილების შედეგად, აღრიცხება ბასს (IAS) 12-ის "მოგებიდან გადასახადები" მიხედვით. ცვლილებით უქმდება ბასს 32-ის მოგების გადასახადთან დაკავშირებული მოთხოვნა და საწარმოებისთვის სავალდებულო ხდება აქციების მფლობელებისთვის მოგების განაწილებაზე მოგების გადასახადი დარიცხოს ბასს 12-ის შესაბამისად. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან, ადგილობრივი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ფულად და არაფულად განაწილებას საგადასახადო შედეგები არ მოჰყვება.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)***ბასს (IAS) 19 "დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები" (ბასს 19R)*

ბასს 19R შეიცავს რამდენიმე ცვლილებას დადგენილ გადასახდელიანი პროგრამების აღრიცხვასთან დაკავშირებით, მათ შორის აქტუარულ შემოსულობასა და ზარალს, რომელიც ამჟამად სხვა სრულ შემოსავალში აისახება და მოგებიდან და ზარალიდან მისი სამუდამოდ აღმოღება ხდება, მოსალოდნელი უკუგება საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის აქტივებზე, რომელთა აღიარებაც მოგებაში ან ზარალში აღარ ხდება და ამის ნაცვლად, ახალი მოთხოვნის თანახმად, წმინდა დადგენილ გადასახდელიან ვალდებულებაზე (აქტივზე) პროცენტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, რომელიც გამოითვლება დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების შეფასებისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთით, და, წარსულში გაწეული მომსახურების არაგარანტირებული ღირებულება ახლა უკვე აისახება მოგებაში ან ზარალში ცვლილებების შეტანის თარიღსა და შესაბამისი რესტრუქტურისა და შეწყვეტის ხარჯების აღიარების თარიღს შორის უადრესით. სხვა ცვლილებები ეხება ახალ განმარტებით შენიშვნებს, მაგალითად რაოდენობრივი მგრძობელობის შესახებ. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და შედეგებზე, რადგან ჯგუფს არ აქვს დადგენილ გადასახდელიანი პროგრამა.

*ფასს (IFRS) 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები -ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა" — ფასს 7-ში შესული ცვლილებები*

ამ ცვლილებების მიხედვით საწარმოს ევალება განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვის უფლებებისა და შესაბამისი გარიგებების შესახებ. მსგავსი ინფორმაცია ანგარიშგების მომხმარებლებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ჩათვლის ამ სქემების გავლენის შეფასებაში დაეხმარება. ამ ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა ყველა აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელთა ურთიერთგაქვითვაც ხორციელდება ბასს (IAS) 32-ის შესაბამისად. მოთხოვნა ვრცელდება იმ აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზეც, რომლებიც ძირითად საკლირინგო შეთანხმებას ან მსგავს ხელშეკრულებებს ექვემდებარება, განურჩევლად იმისა, გაქვითულია თუ არა ფინანსური ინსტრუმენტები ბასს 32-ის შესაბამისად. ჯგუფი არ გაქვითავს ფინანსურ ინსტრუმენტებს ბასს 32-ის შესაბამისად და არ აწარმოებს შესაბამის გარიგებებს, ამიტომ ეს ცვლილება ჯგუფზე გავლენას არ ახდენს.

*ფასს (IFRS) 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს (IAS) 27 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*

ფასს 10-ის მიხედვით კონტროლის სისტემის ერთი მოდელი ვრცელდება ყველა ეკონომიკურ სუბიექტზე, მათ შორის სპეციალური დანიშნულების ეკონომიკურ სუბიექტებზეც. ფასს 10 ჩაანაცვლებს მანამდე არსებული ბასს (IAS) 27-ის "კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება" ნაწილს, რომელიც ეხებოდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და იმკ (SIC) 12-ს "კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები". ფასს 10 "კონტროლის" განმარტებას შემდეგნაირად ცვლის: ინვესტორი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მაშინ, როდესაც იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. ფასს 10-ში "კონტროლის" განმარტებასთან შესაბამისობისთვის შემდეგი სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო: (ა) ინვესტორს ინვესტიციის ობიექტზე გავლენა აქვს; (ბ) ინვესტორი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და (გ) ინვესტორს შეუძლია გამოიყენოს ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენა, რომ განსაზღვროს ინვესტიციაზე უკუგების ოდენობა. ფასს 10-ს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ინვესტიციების კონსოლიდაციაზე.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)***ფასს (IFRS) "ერთობლივი გარიგებები" და ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“*

ფასს 11 ჩაანაცვლებს ბასს 31-ს – *"ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა"* და იმკ 13-ს *"ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები – კონტროლის უფლების მქონე ინვესტორების არაფულადი შენატანები"*. ფასს 11 ასევე აუქმებს პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდს ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულების აღრიცხვისთვის. ამის სანაცვლოდ ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები, რომლებიც ფასს 11-ის ერთობლივი საწარმოს განმარტებას შეესაბამება, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით უნდა აღრიცხოს. ფასს 11-ის გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ან შედეგების ანგარიშებზე, რადგან ჯგუფი არ ფლობს ერთობლივად კონტროლირებად ერთეულებს და ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში

*ფასს (IFRS) 12 "სხვა საწარმოში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები"*

ფასს 12-ში მოცემულია განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში საწარმოს მონაწილეობის შესახებ. განმარტებითი შენიშვნების არცერთი ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ ეხება ჯგუფის საქმიანობას.

*ფასს (IFRS) 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“*

ფასს 13 ერთიან მეთოდს განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის. ფასს 13 არ ცვლის სამართლიანი ღირებულებით შეფასების აუცილებლობის დადგომის წესს, იგი მხოლოდ ფასს-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდიკას განსაზღვრავს, როდესაც სამართლიანი ღირებულება აუცილებელი ან ნებადართულია. ჯგუფმა განიხილა საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებასთან, შეფასების წინაპირობასთან და ძირითად (ყველაზე სახარბიელო) ბაზართან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები. სადაც საჭირო იყო, მოხდა მეთოდების, დაშვებების, პროცესებისა და პროცედურების გადასინჯვა და დაკორექტირება. ფასს 13-ის მიხედვით ჩატარებულმა გაანგარიშებამ გავლენა იქონია პრინციპებზე, რომლებსაც ჯგუფი იყენებს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, თუმცა ფასს 13-ის მიხედვით სამართლიანი ღირებულების შეფასებას არსებითად არ შეუცვლია აღიარებული თუ გაცხადებული სამართლიანი ღირებულებები.

ფასს 13 ძირითადად ჯგუფის განმარტებით შენიშვნებზე ახდენს გავლენას. იგი მოითხოვს სამართლიანი ღირებულების შეფასებისა და სამართლიანი ღირებულებების შესახებ გარკვეული განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, რომელთაგან ნაწილიც ჩაანაცვლებს სხვა სტანდარტების მოთხოვნებს განმარტებითი შენიშვნების შესახებ. ფასს 13-ის განმარტებითი შენიშვნები მე-10, მე-13 და 22-ე შენიშვნებშია წარმოდგენილი.

ფასს 13-ის მოთხოვნები განმარტებითი შენიშვნების თაობაზე პერსპექტიულად ვრცელდება საწარმოებზე და მათი დაკმაყოფილება არ არის საჭირო შესაძარისი პერიოდებისთვის თავდაპირველ გამოყენებამდე. შესაბამისად, აღნიშნული განმარტებითი შენიშვნების შესაძარისი მონაცემები არ არის წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული ცვლილებებისა და ახალი სტანდარტების გარდა, ასევე შეიცვალა ფასს (IFRS) 1 *"ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება"*, რაც გავლენას ახდენს 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე. ჯგუფი არ არის საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს, ამიტომ ეს ცვლილება მისთვის აქტუალური არ არის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****კონსოლიდაციის საფუძველი**

შვილობილი კომპანიები - სამეურნეო ერთეულები, რომლებშიც ჯგუფი ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად აკონტროლებს მათ საქმიანობას, კონსოლიდირებულია. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და მათ აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის უფლების შეწყვეტისას. ჯგუფის შიდა ტრანსაქციები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ამ ტრანსაქციებიდან, ასევე ზარალი ამ ტრანსაქციებიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, ის ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას, კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს; ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას, ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, რაც უწინ აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.

**ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში**

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები გაიანგარიშება კაპიტალ-მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ჯგუფის წილი აისახება მოგებაში ან ზარალში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ჯგუფი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ჯგუფსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ტრანსაქციებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც იქვითება, თუ ტრანსაქცია არ ამტკიცებს გადაცემული აქტივის გაუფასურებას.

**სამართლიანი ღირებულებით შეფასება**

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალთად, საინვესტიციო ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. გარდა ამისა, ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)**

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

**ფინანსური აქტივები***თავდაპირველი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)***აღიარების თარიღი*

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

*დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, თუ ჯგუფს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ვადამდე ფლობილი ინვესტიციები შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით აისახება. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ინვესტიციების გაუფასურების შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

*სესხები და მისაღები ანგარიშები*

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

**მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ავანსებსა თუ დეპოზიტებს სხვა ბანკებში. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების თანხა აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში ჯგუფი ახორციელებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებს, რომლებშიც ძირითადი წილი უკავია სავალუტო ფორვარდებსა და სვოპებს სავალუტო გაცვლით და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები ფლობილია სავაჭროდ და აისახება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან ან როგორც წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან ინსტრუმენტის ხასიათიდან გამომდინარე.

**ნასესხები სახსრები**

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების, მეანაბრეების წინაშე და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

**იჯარა*****i. ფინანსური იჯარა – ჯგუფი, როგორც მოიჯარე***

ჯგუფი აღიარებს ფინანსურ იჯარას, როგორც აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საიჯარო ვადის დაწყებისას, იჯარით აღებული ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესით. მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას დისკონტირების ფაქტორად გამოიყენება იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი, თუ შესაძლებელია მისი განსაზღვრა; სხვა შემთხვევაში გამოიყენება ჯგუფის შეფარდებითი საპროცენტო განაკვეთი. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები შედის აქტივის ღირებულებაში. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ ხარჯსა და დასაფარი ვალდებულების შემცირებას შორის. ფინანსური ხარჯი განაწილდება საიჯარო ვადის პერიოდებზე იმგვარად, რომ თითოეული პერიოდისათვის წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნაშთზე.

ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარისათვის განხორციელებულ საქმიანობასთან, შესულია იჯარით აღებულ აქტივად აღიარებულ თანხაში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****იჯარა (გაგრძელება)***ii. საოპერაციო იჯარა – ჯგუფი, როგორც მოიჯარე*

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

*iii. საოპერაციო იჯარა – ჯგუფი, როგორც მეიჯარე*

ჯგუფი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სხვა შემოსავლის სახით იჯარის ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდით. მოიჯარისათვის წამახალისებელ ფაქტორებზე ჯამური დანახარჯის აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

**ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას**

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე.ი. 1 დონის მდგენელი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ჯგუფი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს.
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მდგენელები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითვა და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები*

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ჯგუფისათვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოიწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ჯგუფის პროდუქტების მონიტორინგის შიდა სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

*დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები*

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

თუ მომდევნო წელს სავარაუდო გაუფასურების მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

*გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი ნიშნავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე. თუ არსებობს გაუფასურების ნიშანი, კუმულაციური ზარალი (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალით შემცირებულ მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის), სხვა სრული შემოსავლის მუხლიდან რეკლასიფიცირებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახვით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა სრულ შემოსავალში აისახება.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც - ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შეფასება. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ მომდევნო წელს სასესხო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის მოგებაში ან ზარალში აღიარების შემდგომ მოვლენას, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შებრუნება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების მეშვეობით.

*რესტრუქტურული ზეგებული სესხები*

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურისა და ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის გრაფიკის გახანგრძლივებას, სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას და უზრუნველყოფის საგნის გაუმჯობესებას. მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობებზე ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად.

რესტრუქტურისა და აღრიცხვა 2 ძირითადი სცენარის მიხედვით ხორციელდება:

- თუ სესხის რესტრუქტურისა და აღრიცხვა არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიმძლევებს, მაგრამ ფულადი ნაკადების პირობები გადაისინჯა, მაშინ სესხი არ მიიჩნევა გაუფასურებულად. ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება სესხის დარჩენილი პერიოდის ფულადი ნაკადების საფუძველზე. თუ რესტრუქტურისა და აღრიცხვის თარიღისათვის ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, სესხის ახალი საბალანსო ღირებულება გამოითვლება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულება რესტრუქტურისა და აღრიცხვის შემდეგ. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს რესტრუქტურისა და აღრიცხვის თარიღისათვის მოქმედი საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას. ამ შემთხვევაში განსხვავება სესხის რესტრუქტურისა და აღრიცხვის შემდეგ საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურისა და აღრიცხვის შემდეგ მის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია, როგორც სესხის რესტრუქტურისა და აღრიცხვის შემდეგ მიღებული ზარალი.
- თუ სესხის გაუფასურება ხდება რესტრუქტურისა და აღრიცხვის შემდეგ, მაშინ ჯგუფი სესხის აღდგენადი ღირებულების გამოსათვლელად ახალი ფულადი ნაკადებისთვის იყენებს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. გადაანგარიშებული ახალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მოიცავს უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღებ ამონაგებს, და სესხის რესტრუქტურისა და აღრიცხვის შემდეგ მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა შეტანილია მიმდინარე პერიოდის სესხის გაუფასურების ხარჯებში.

ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურული ზეგებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა***ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური გარანტიები**

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტივებსა და აქცეპტებს. ფინანსური გარანტიები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების “სხვა ვალდებულებების” მუხლში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ჯგუფის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება ამორტიზებულ პრემიასა და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად გაწეული ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. მიღებული პრემიის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ვადის განმავლობაში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****გადასახადები**

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯების ჯამს.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღრიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები, შენობების გამოკლებით, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თვითღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

(ათას ლარში)

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგებაში ან ზარალში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური განაკვეთებით:

მიწა და შენობა-ნაგებობები	2%-5%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-20%
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	20%-25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-25%
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	10%-25%

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

მიწა სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება და ცვეთა არ ერიცხება. იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან.

მესამე მხარეებისგან მიღებული კომპენსაცია ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებისთვის, რომლებიც გაუფასურდა, დაიკარგა ან გადაცემულ იქნა, შედის სხვა შემოსავალში, როდესაც კომპენსაციის ვალდებულებას მესამე მხარე აღიარებს.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****საინვესტიციო ქონება**

ჯგუფი გარკვეულ ქონებას ფლობს საინვესტიციო ქონების სახით, საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის ან ორივე მიზნით, და მათი გამოყენება ან ფლობა არ ხდება ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მრავალი წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში არასაბანკო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და მიეკუთვნება სხვა შემოსავლის ან სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლებს.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 5- 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

კომპიუტერული პროგრამებთან დაკავშირებული დანახარჯები აღირიცხება ხარჯების ნაწილში მათი გაწვევისთანავე.

**„გასაყიდად არსებულის“ კატეგორიაში შესული აქტივები**

ჯგუფი გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირებას “გასაყიდად არსებულად” მაშინ ახდენს, თუ მის საბალანსო ღირებულებას გაყიდვის ოპერაციიდან ამოიღებს და არა მისი უწყვეტი გამოყენებიდან. საამისოდ გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი) გასაყისად უნდა იყოს ხელმისაწვდომი არსებულ მდგომარეობაში ამგვარი აქტივების (ან აქტივების ჯგუფის) გაყიდვის სტანდარტული და გავრცელებული პირობების შესაბამისად, და მისი გაყიდვის ალბათობა მაღალი უნდა იყოს.

გაყიდვა მაღალი ალბათობის მქონედ მოიაზრება თუ ბანკის ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გრძელვადიანი აქტივის (ან აქტივების ჯგუფის) გაყიდვა და სავარაუდოდ დაწყებულია მყიდველის მოძიების პროცესი. ამასთან, გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი) გასაყიდად გატანილ უნდა იქნას ბაზარზე მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში გონივრულ ფასად და გაყიდვა დასრულებულ ოპერაციად უნდა აღირიცხოს გრძელვადიანი აქტივის “გასაყიდად არსებულად” კლასიფიცირების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****"გასაყიდად არსებულის" კატეგორიაში შესული აქტივები (გაგრძელება)**

ჯგუფი აღრიცხავს გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებულ აქტივს (აქტივების ჯგუფს) მის საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის (გაყიდვის ხარჯის გამოკლებით) უმცირესით. ჯგუფი აღიარებს გაუფასურებით გამოწვეულ ზარალს აქტივის ყველა თავდაპირველი თუ შემდგომი ჩამოწერისთვის სამართლიან ღირებულებამდე, გაყიდვის ხარჯის გამოკლებით, თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიუთითებენ საბალანსო ღირებულების გაუფასურებაზე.

**ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

**საპენსიო და სხვა ვალდებულებები**

*ჯგუფს არა აქვს ცალკე საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა. ჯგუფს ასევე არა აქვს გათვალისწინებული საპენსიო შეღავათები.*

**აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები**

ბანკის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელობის ჩათვლით) ანაზღაურებას იღებენ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების სახით, რის მიხედვითაც თანამშრომლები მომსახურებას სწევენ წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების სანაცვლოდ (შემდგომში “წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციები”).

**წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციები**

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებულ ოპერაციების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში “უფლების გადაცემის თარიღი”). წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების მთლიანი ხარჯი, რომელიც აღიარებულია ყოველ ანგარიშგების თარიღით უფლების გადაცემის თარიღამდე, ასახავს უფლებამოსილების ვადის დინებას და ბანკის შეფასებით წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობას, რომლებზე უფლებების გადაცემაც საბოლოოდ მოხდება. მოგების ან ზარალის ხარჯი ან მოცემული პერიოდის კრედიტი აღრიცხულია “თანამშრომლებზე გაწეულ ხაჯებში” და წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული კუმულაციური ხარჯების დინამიკას.

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების პირობები შეიცვლება, “თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯებში” აღიარებული მინიმალური ხარჯი გატარდება ისე, თითქოს პირობები არ შეცვლილა. დამატებითი ხარჯის აღიარება მოხდება ნებისმიერი ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც ცვლილების დღეს ჩატარებული შეფასებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის სისტემის მთლიან სამართლიან ღირებულებას ზრდის ან სხვაგვარად არის სარგებლის მომტანი თანამშრომლისთვის.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები (გაგრძელება)**

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორება გაუქმდება, ეს აღრიცხება ისე, თითქოს უფლების გადაცემა მოხდა გაუქმების დღეს და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი, რომელიც ჯერ არ არის აღიარებული, დაუყოვნებლივ აღიარდება. ეს მოიცავს ნებისმიერ ანაზღაურებას, სადაც ორგანიზაციის ან კონტრაქტის კონტროლს დაქვემდებარებული პირობები, რომლებიც უფლების გადაცემას არ უკავშირდება, არ არის დაკმაყოფილებული. თუმცა თუ ახალი ანაზღაურება ჩაანაცვლებს გაუქმებულს და გაცემის დღეს აღრიცხება, როგორც ჩანაცვლებული ანაზღაურება, გაუქმებული და ახალი ანაზღაურება აისახება ისე, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ თავდაპირველი ანაზღაურების ცვლილებას, წინა აზნაცში აღწერილის შესაბამისად.

გამოშვებული ოფციების განზავების ეფექტი თითოეულ აქციაზე განზავებული მოგების გამოთვლაში აისახება, როგორც დამატებითი აქციების განზავება (მე-16 შენიშვნა).

**საწესდებო კაპიტალი***საწესდებო კაპიტალი და დამატებით შეტანილი კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღრიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

*გამოსყიდული აქციები*

როდესაც ბანკი შეიძენს ბანკის აქციებს, გადახდილი საფასური და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე, გაყიდვამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. შემდგომში ასეთი აქციების გაყიდვის ან ხელახლა გამოშვების შემთხვევაში ხდება მიღებული საფასურის ჩართვა კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

**ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით**

სეგმენტების მიხედვით ანგარიშგება ეფუძნება შემდეგ საოპერაციო სეგმენტებს: საცალო საბანკო მომსახურება, კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების მომსახურება, კერძო საბანკო და კორპორაციული ცენტრის მომსახურება.

**პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****შემოსავლისა და ხარჯის აღიარება**

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

*საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღრიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

*მიღებული გასამრჯელო და საკომისიო*

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

- *გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო*

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. მასში საკომისიო შემოსავალიც შედის. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

- *საოპერაციო მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო*

მოლაპარაკებების წარმოებისთვის ან მესამე მხარისთვის ტრანსაქციის თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის (როგორცაა აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ან ბიზნესების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები) მიღებული გასამრჯელო აისახება ამ ტრანსაქციის დასრულებისთანავე. გასამრჯელო და გასამრჯელოს გარკვეულ სამუშაოებთან დაკავშირებული კომპონენტები აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)***შემოსავალი დივიდენდებიდან*

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ჯგუფს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონდოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი გაცვლითი კურსი გამოიყენა:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ლარი/1 აშშ დოლარი	1.7363	1.6567
ლარი /1 ევრო	2.3891	2.1825

**გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული***ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"*

ფასს 9 გამოცემული სახით ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გაწეულ მუშაობას ბასს 39-ის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეეხება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებას ბასს 39-ის მიხედვით. სტანდარტები თავდაპირველად 2013 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე ვრცელდებოდა, მაგრამ 2011 წლის დეკემბერში ფასს 9-ში შესული ცვლილებებით *"ფასს 9-ს ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღი და გარდამავალი განმარტებითი შენიშვნები"*, ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღმა 2015 წლის 1 იანვრამდე გადაიწია. შემდეგ ეტაპზე ბასსს მიმართავს ფინანსური აქტივების ჰეჯირების აღრიცხვას და გაუფასურებას. ჯგუფი მის გავლენას სხვა ეტაპებთან ერთად შეაფასებს, როდესაც ყველა ეტაპის შემცველი საბოლოო სტანდარტი გამოიცემა.

*(ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)***საინვესტიციო კომპანიები (ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 12-ში და ბასს 27-ში)*

ეს ცვლილებები ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და უშვებს კონსოლიდაციის მოთხოვნებისგან გამონაკლისის ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებენ ფასს 10-ის მიხედვით "საინვესტიციო კომპანიის" განმარტებას. კონსოლიდაციის ვალდებულებისგან გათავისუფლება საინვესტიციო კომპანიებისგან მოითხოვს შვილობილი კომპანიების აღრიცხვას მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფისთვის ეს ცვლილება სავარაუდოდ არ იქნება აქტუალური, რადგან ჯგუფის არცერთი სამეურნეო ერთეული არ შეესაბამება ფასს 10-ის განმარტებას "საინვესტიციო კომპანიის" შესახებ.

*ბასს (IAS) 32 "ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა" — ბასს 32-ში შესული ცვლილებები*

ეს ცვლილებები განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს "ამჟამად აქვს გაქვითვის იურიდიული უფლება" და ასევე კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკლირინგო დაწესებულებების ანგარიშსწორების არათანადროული მექანიზმები, რომ მიიღოს ურთიერთგაქვითვის უფლება. აღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2014 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ისინი სავარაუდოდ არ იქნება აქტუალური ჯგუფისათვის.

*ფაისკ 21-ის ინტერპრეტაცია მოსაკრებლების თაობაზე (ფაისკ (IFRIC) 21)*

ფაისკ 21 განმარტავს, რომ საწარმო ვალდებულებას აღიარებს მოსაკრებლის მიზნით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს გადახდის გამომწვევ ქმედებას (შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით). ინტერპრეტაციის მიხედვით, ისეთი მოსაკრებლის შემთხვევაში, რომელიც გადასახდელია მინიმალური ზღვრის მიღწევის შედეგად, ვალდებულება არ წარმოიქმნება, სანამ არ იქნება მიღწეული აღნიშნული მინიმალური ზღვარი. ფაისკ 21 ძალაშია 2014 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ჯგუფის მოლოდინით, ფაისკ 21-ს გავლენა არ ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ბასს (39) "წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაცემა და ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობა - ბასს 39-ში შესული ცვლილებები"*

ეს ცვლილებები უშვებს გამონაკლისს ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტის ვალდებულებისგან, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჰეჯირებისთვის გამიზნული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გადაცემა გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიურ პერიოდებისთვის. ჯგუფს არ გადაუცია წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიმდინარე პერიოდში. თუმცა ეს ცვლილებები განიხილება სამომავლო გადაცემების შემთხვევაში.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის.

*(ათას ლარში)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)***სესხების გაუფასურების რეზერვი*

ჯგუფი რეგულარულად ახდენს სესხების გაუფასურების შეფასებას. ჯგუფი ადგენს სესხების გაუფასურების ანარიცხვებს, რათა აღიაროს სესხებისა და მისაღები ანგარიშების პორტფელის გაუფასურება. ჯგუფი სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვის სააღრიცხვო შეფასებებს განიხილავს, როგორც შეფასების უზუსტობის ძირითად წყაროს, რადგან (i) ეს შეფასებები დამოკიდებულია პერიოდიდან პერიოდამდე მომხდარ ცვლილებებზე, რადგან დაშვებები მომავალში ვალდებულებების შეუსრულებლობაზე და სესხებსა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების გამო მოსალოდნელი დანაკარგების შეფასება ეყრდნობა ბოლოდროინდელ გამოცდილებას, და (ii) ჯგუფის მოსალოდნელ და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობის გამო ჯგუფს მოუწევდა ანარიცხების შექმნა, რაც არსებითად იმოქმედებდა მისი სამომავლო პერიოდების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. სამომავლო ფულად ნაკადებში ცვლილებებს ჯგუფი აფასებს წარსული გამოცდილებისა და წარსულში კლიენტების ქცევის მიხედვით, ასევე არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაჩნია მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებებსა და ანალოგიური სესხების ჯგუფის გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ჯგუფი სესხების ჯგუფის შესახებ არსებული ხელმისაწვდომი მონაცემების კორექტირებისათვის ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს, რათა ასახოს ის მიმდინარე მოვლენები, რომლებიც ისტორიულ მონაცემებში არ არის ასახული.

უზრუნველყოფილი სესხებისა და მისაღები ანგარიშების, ასევე ფინანსურ იჯარაზე მისაღები ანგარიშების ოდენობის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნის სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობა რეგულარულად ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა სამართლიან ღირებულებას არსებული საბაზრო პირობების მიხედვით აკორექტირებს, რისთვისაც იგი გამოცდილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ან დამოუკიდებელი ექსპერტის აზრს ეყრდნობა. საჭირო უზრუნველყოფის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ხდება არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების საფუძველზე. ჯგუფს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა ცვლილებები მოხდება საქართველოში და რა გავლენა ექნება ასეთ ცვლილებებს მომავალ პერიოდებში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

*საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

საინვესტიციო ქონება და შენობები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

ჯგუფის შენობები სისტემატურად გადაფასდება. ბოლო გადაფასების თარიღი 2011 წლის 31 დეკემბერი იყო. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა მოახდინა თავისი შენობა-ნაგებობების საბაზრო ფასების ანალიზი და დაასკვნა, რომ მათი საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებისგან. იხილეთ მე-10 შენიშვნა.

*(ათას ლარში)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)***საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)*

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდზე დაყრდნობით. აღნიშნული ითვალისწინებს ნებისმიერი მიმდინარე იჯარის ხელშეკრულების და სხვა ხელშეკრულებების პირობებს და როდესაც ეს ხელმისაწვდომია, ისეთ მტკიცებულებებს, როგორებიცაა ანალოგიური ძირითადი საშუალებების იჯარის მიმდინარე საბაზრო ფასი, შესადარისი ადგილმდებარეობა და პირობები. გამოიყენება დისკონტირების განაკვეთები, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების მოცულობისა და პერიოდულობის გაურკვევლობის საბაზრო შეფასებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების დაშვებები მოიცავს მიწის იჯარასთან თუ შესყიდვასთან დაკავშირებით ფულადი სახსრების გადინების პროგნოზს.

ზემოაღნიშნული შეფასებები ექვემდებარება შემდგომ ცვლილებას ახალი ტრანსაქციების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ახალი საბაზრო მონაცემების საფუძველზე.

*გადასახადები*

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებს ან საურავებს. ფისკალური პერიოდები ექვემდებარება უფლებამოსილი ორგანოების მიერ საგადასახადო კუთხით შემოწმებას 6 წლის განმავლობაში, შემოწმების წლის ჩათვლით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

**5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ**

მართვის მიზნებისათვის ჯგუფი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად პროდუქტებისა და მომსახურების მიხედვით:

საცალო საბანკო მომსახურება	ძირითადად მართავს ინდივიდუალური მომხმარებლების დეპოზიტებს, გასცემს სამომხმარებლო სესხებს, ოვერდრაფტებს, საკრედიტო ბარათებს და უზრუნველყოფს სახსრების გადარიცხვის საშუალებებს.
კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მომსახურება	ძირითადად გასცემს სესხებსა და სხვა საკრედიტო პროდუქტებს კორპორაციულ და ინსტიტუციონალურ მომხმარებლებზე, ასევე მართავს მათ დეპოზიტებსა და მიმდინარე ანგარიშებს.
კერძო საბანკო მომსახურება	ძირითადად ეწევა ფიზიკური პირების კერძო საბანკო და ქონების მართვის მომსახურებას.
კორპორაციული ცენტრი	ძირითადად ბანკის ყველა საოპერაციო სეგმენტს უწევს სახაზინო და ბექ-ოფისის მომსახურებას.
სხვა	სეგმენტები, რომლებიც ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციაში არ მოხვდა, მოიცავს არასაბანკო ოპერაციებს.

ხელმძღვანელობა აკვირდება ბიზნეს ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს სახსრების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგი, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია განმარტებული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალისგან განსხვავებულად ფასდება. მოგების გადასახადის მართვა ხდება ჯგუფურ საფუძველზე და არ ნაწილდება საოპერაციო სეგმენტებზე.

(ათას ლარში)

**5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)**

ჯგუფი ოპერირებს გეოგრაფიულ ბაზარზე - საქართველოში. ვინაიდან ჯგუფის აქტივები განთავსებულია ერთ გეოგრაფიულ ერთეულში, ჯგუფის გარე შემოსავალი, მთლიანი აქტივები და კაპიტალის დანახარჯებიც ამავე ერთეულშია განთავსებული.

2013	კორპორაციული და მცირე და საშ. ზომის		კერძო საბანკო მომსახურება	კორპორაციული ცენტრი	სხვა	შესწორებები და გაჭვითვები	სულ
	საცალო საბანკო მომსახურება	საწარმოების მომსახურება					
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	45,528	2,929	722	6,897	1	9	56,086
წმინდა საკომისიო შემოსავალი	13,358	5,359	400	901	(44)	-	19,974
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	4,093	1,705	341	682	(1)	-	6,820
სხვა შემოსავალი	3,835	1,827	304	122	390	(254)	6,224
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>66,814</b>	<b>11,820</b>	<b>1,767</b>	<b>8,602</b>	<b>346</b>	<b>(245)</b>	<b>89,104</b>
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების წმინდა დანარჩენი	(5,053)	9,194	29	-	-	(437)	3,733
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(29,854)	(6,554)	(414)	(5,021)	(23)	-	(41,866)
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,043)	(1,746)	(116)	(1,748)	(127)	-	(11,780)
სხვა გაუფასურება და ანარჩებები	(902)	(520)	(36)	(78)	(19)	437	(1,118)
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(15,593)	(4,379)	(343)	(2,257)	(366)	310	(22,628)
<b>შედეგები სეგმენტების მიხედვით</b>	<b>7,369</b>	<b>7,815</b>	<b>887</b>	<b>(502)</b>	<b>(189)</b>	<b>65</b>	<b>15,445</b>
მოგების გადასახადის სარგებელი	-	-	-	-	-	-	2,620
<b>წმინდა მოგება</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>18,065</b>
სეგმენტის აქტივები	948,898	119,753	9,219	216,667	998	(1,921)	1,293,614
ვალდებულებები სეგმენტების მიხედვით	480,127	499,561	63,963	135,838	307	(290)	1,179,506
<b>სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ</b>							
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	304	-	-	304
მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული შემოსავლის წილი	-	-	-	12	-	-	12

(ათას ლარში)

**5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)**

	კორპორა- ციული და მცირე და საშ. ზომის			კორპორა- ციული ცენტრი	სხვა	შესწორე- ბები და გაქვითვები	სულ
	საცალო საბანკო მომსა- ხურება	საწარმო- ების მომსა- ხურება	კერძო საბანკო მომსა- ხურება				
<b>2012</b>							
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	37,692	4,634	754	8,850	2	3	51,935
წმინდა საკომისიო შემოსავალი უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	17,360	7,737	72	3,730	(44)	-	28,855
სხვა შემოსავალი	1,196	896	119	3,768	-	-	5,979
<b>სულ შემოსავალი</b>	<b>56,648</b>	<b>16,927</b>	<b>992</b>	<b>16,921</b>	<b>401</b>	<b>(303)</b>	<b>91,586</b>
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების წმინდა დანარიცები	(2,707)	(5,549)	(55)	(4,691)	-	498	(12,504)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	(27,816)	(5,886)	(372)	(3,510)	(21)	-	(37,605)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	(6,427)	(1,482)	-	(1,976)	(120)	-	(10,005)
სხვა გაუფასურება და ანარიცხები	(228)	(131)	(9)	(20)	-	(497)	(885)
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(12,334)	(4,025)	(315)	(4,072)	(350)	294	(20,802)
<b>შედეგები სეგმენტების მიხედვით</b>	<b>7,136</b>	<b>(146)</b>	<b>241</b>	<b>2,652</b>	<b>(90)</b>	<b>(8)</b>	<b>9,785</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	-	(4,601)
<b>წმინდა მოგება</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>5,184</b>
სეგმენტის აქტივები	747,590	54,134	14,649	23,353	930	(1,724)	838,932
ვალდებულებები სეგმენტების მიხედვით	252,360	406,558	53,692	27,638	179	(157)	740,270
<b>სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ</b>							
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	171	-	-	171
მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული შემოსავლის წილი	-	-	-	(63)	-	-	(63)

**6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2013	2012
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	102,948	84,839
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	124,455	46,867
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	27,486	17,987
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	100,200	83,261
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>355,089</b>	<b>232,954</b>

(ათას ლარში)

**6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)**

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 20,367 ლარი (2012 წლის 31 დეკემბერი: 11,527 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე ეგთოს საერთაშორისო დონეზე აღირებულ ბანკებში, რომლებიც მონაწილე მხარეებზე გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადახდებში. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100,200 ლარი (2012 წლის 31 დეკემბერი: 83,261 ლარი) იყო განთავსებული მოკლევადიან და ერთდღიან დეპოზიტებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში. საკრედიტო დაწესებულებებში 90 დღემდე ვადიანი ანაზრების წლიური საპროცენტო განაკვეთები 2.0%-დან 2.5%-მდე მერყეობს.

**7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	37,847	-
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაზარი	2,604	2,673
<b>მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b>	<b>40,451</b>	<b>2,673</b>

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. კანონმდებლობის შესაბამისად ჯგუფს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,604 ლარი (2012 წლის 31 დეკემბერი: 2,593 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე და ბანკთაშორის დეპოზიტებზე საერთაშორისო აღიარების მქონე ეგთოს ბანკებში, რომლებიც ძირითად კონტრაქტებად გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში. ასეთი ანაზრების წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.05%-დან 0.1%-მდეა.

**8. კლიენტებზე გაცემული სესხები**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით	365,755	260,038
სამომხმარებლო სესხები	81,991	38,183
მიკროსესხები	58,923	22,634
სალომბარდო სესხები	54,012	20,215
კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	50,319	38,446
იპოთეკური სესხები	15,902	19,428
<b>კლიენტებზე გაცემული ჯამური სესხი</b>	<b>626,902</b>	<b>398,944</b>
გამოკლებული - სესხების გაუფასურების რეზერვი	(26,822)	(20,826)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>600,080</b>	<b>378,118</b>

(ათას ლარში)

**8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

რეგულარული შემოსავლის მქონე საცალო კლიენტებზე სესხები გაიცემა ისეთი პირებისთვის, რომლებსაც საბანკო ანგარიშზე ხელფასის, სახელმწიფო პენსიის ან სოციალური დახმარების სახით რეგულარულად (როგორც წესი, ყოველთვიურად) ერიცხება გარკვეული თანხა.

**კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი**

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

	<i>რეგულარული შემოსავლის მქონე საცალო კლიენტებზე</i>		<i>სამომხმარებლო მიკრო სესხები</i>	<i>კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე</i>		<i>იპოთეკური სულ</i>
	<i>გაცემული სესხები 2013 წ.</i>	<i>რეზერვი 2013 წ.</i>		<i>გაცემული სესხები 2013 წ.</i>	<i>რეზერვი 2013 წ.</i>	
<b>2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>10,319</b>	<b>5,410</b>	<b>447</b>	<b>4,185</b>	<b>465</b>	<b>20,826</b>
დარიცხვა წლის განმავლობაში	3,329	2,365	(23)	(9,194)	(210)	(3,733)
ჩამოწერილი ქონების აღდგენა	449	237	-	9,125	-	9,811
ჩამოწერილი თანხები	(71)	(5)	(6)	-	-	(82)
<b>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>14,026</b>	<b>8,007</b>	<b>418</b>	<b>4,116</b>	<b>255</b>	<b>26,822</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	10,855	6,257	267	3,350	169	20,898
კოლექტიური გაუფასურება	3,171	1,750	151	766	86	5,924
	<b>14,026</b>	<b>8,007</b>	<b>418</b>	<b>4,116</b>	<b>255</b>	<b>26,822</b>
გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	10,934	6,295	267	12,078	169	29,743

(ათას ლარში)

**8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

**კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)**

	<i>რეგულარული შემოსავლის მქონე საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები</i>		<i>კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე</i>		<i>სულ</i>	
	<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>მიკრო სესხები</i>	<i>გაცემული სესხები</i>	<i>იპოთეკური სესხები</i>	
	<i>2012 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	<i>2012 წ.</i>	
<b>2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>9,642</b>	<b>8,358</b>	<b>291</b>	<b>17,562</b>	<b>283</b>	<b>36,136</b>
დარიცხვა წლის განმავლობაში	6,860	1,810	156	3,496	182	12,504
ჩამოწერილი ქონების აღდგენა	126	37	-	-	-	163
ჩამოწერილი თანხები	(6,309)	(4,795)	-	(16,873)	-	(27,977)
<b>2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>10,319</b>	<b>5,410</b>	<b>447</b>	<b>4,185</b>	<b>465</b>	<b>20,826</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	8,358	3,328	149	3,750	286	15,871
კოლექტიური გაუფასურება	1,961	2,082	298	435	179	4,955
	<b>10,319</b>	<b>5,410</b>	<b>447</b>	<b>4,185</b>	<b>465</b>	<b>20,826</b>
გაუფასურებულად ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	8,358	3,328	149	5,012	286	17,133

2013 წელს ამოღებული სესხები ძირითადად მოიცავს ერთ მსხვილ კორპორატიულ და მცირე და საშუალო ზომის სესხს 9,125 ლარის ოდენობით.

**ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები**

იმ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, რომელთათვისაც აღიარებულია ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,051 ლარს (2012 წ.: 2,356 ლარს). შესაბამისი დანარიცხები აღიარებულ იქნა როგორც 2013, ისე 2014 წელს და აღრიცხულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე წმინდა გაუფასურების დანარიცხი.

(ათას ლარში)

## 8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გარძელება)

### სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- იურიდიული პირების სესხებისთვის - უძრავი ქონების იპოთეკა, სასაქონლო მატერიალური მარაგები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება;
- ფიზიკური პირების სესხებისთვის – საცხოვრებელი ფართის იპოთეკა და ოქრო (სალომბარდო სესხებისთვის)

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თავლყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

### კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 33,066 ლარს, ანუ ჯგუფის ჯამური სასესხო პორტფელის 5.3%-ს (2012 წ.: 16,096 ლარი და 4.0%, შესაბამისად). აღნიშნული სესხებისთვის შეიქმნა რეზერვი 246 ლარის (2012 წ.: 2,896 ლარი) ოდენობით.

### კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კონცენტრაცია (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხები კლიენტების ტიპების მიხედვით:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ფიზიკური პირები	556,651	364,445
კერძო საწარმოები	70,251	34,215
სახელმწიფო ორგანიზაციები	-	284
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, ბრუტო</b>	<b>626,902</b>	<b>398,944</b>
გამოკლებული - სესხების გაუფასურების რეზერვი	(26,822)	(20,826)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, ნეტო</b>	<b>600,080</b>	<b>378,118</b>

სესხები საქართველოს ფარგლებში, ძირითადად შემდეგ დარგებზეა გაცემული:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ფიზიკური პირები	556,651	364,445
ვაჭრობა და მომსახურება	44,935	26,722
მშენებლობა	2,684	2,941
სოფლის მეურნეობა	329	61
სხვა	22,303	4,775
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, ბრუტო</b>	<b>626,902</b>	<b>398,944</b>
გამოკლებული - სესხების გაუფასურების რეზერვი	(26,822)	(20,826)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, ნეტო</b>	<b>600,080</b>	<b>378,118</b>

(ათას ლარში)

**9. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები**

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	<i>2013</i>	<i>2012</i>
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	66,839	52,184
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	53,546	6,975
სადეპოზიტო სერთიფიკატები სებ-ში	13,056	-
<b>დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები</b>	<b>133,441</b>	<b>59,159</b>

**10. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>კომპიუ- ტერული ტექნიკა და</i>		<i>სატრანს- პორტო</i>		<i>საიჯარო</i>	<i>დაუმთავ- რებელი</i>	<i>სულ</i>
	<i>მიწა და შენობა- ნაგებობები</i>	<i>ავეჯი და მოწყობი- ლობები</i>	<i>საოფისე ადჭურ- ვილობა</i>	<i>პორტო საშუა- ლებები</i>	<i>გაუმჯობე- სებები</i>	<i>მშენებლობა</i>	
<b>თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>86,056</b>	<b>36,316</b>	<b>15,570</b>	<b>11,466</b>	<b>4,962</b>	<b>1,081</b>	<b>155,451</b>
შემოსავლები	4,387	4,647	1,951	1,148	1,213	-	13,346
ჩამოწერა	(36)	(4)	(2)	-	-	(649)	(691)
გასვლები	-	-	-	(476)	-	-	(476)
გადაცემა	432	-	-	-	-	(432)	-
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>90,839</b>	<b>40,959</b>	<b>17,519</b>	<b>12,138</b>	<b>6,175</b>	<b>-</b>	<b>167,630</b>
<b>დარიცხული ცვეთა და გაუფასურება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>1,522</b>	<b>12,783</b>	<b>9,669</b>	<b>4,894</b>	<b>488</b>	<b>-</b>	<b>29,356</b>
ცვეთის დანარიცხი	1,880	3,929	2,351	2,139	123	-	10,422
ჩამოწერა	(5)	(3)	(2)	-	-	-	(10)
გასვლები	-	-	-	(463)	-	-	(463)
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>3,397</b>	<b>16,709</b>	<b>12,018</b>	<b>6,570</b>	<b>611</b>	<b>-</b>	<b>39,305</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>84,534</b>	<b>23,533</b>	<b>5,901</b>	<b>6,572</b>	<b>4,474</b>	<b>1,081</b>	<b>126,095</b>
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>87,442</b>	<b>24,250</b>	<b>5,501</b>	<b>5,568</b>	<b>5,564</b>	<b>-</b>	<b>128,325</b>

(ათას ლარში)

**10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავიჯი და მოწყობი- ლობები	კომპიუ- ტერული ტექნიკა და საოფისე ადჭურ- ვილობა	სატრანს- პორტო საშუა- ლებები	საიჯარო გაუმჯობე- სებები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
<b>თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>60,379</b>	<b>30,341</b>	<b>11,702</b>	<b>9,369</b>	<b>4,735</b>	<b>1,740</b>	<b>118,266</b>
შემოსავლები	5,080	6,598	3,868	2,589	722	437	19,294
ჩამოწერა	-	(623)	-	(492)	(590)	-	(1,705)
გადაცემა	1,001	-	-	-	95	(1,096)	-
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებიდან	20,204	-	-	-	-	-	20,204
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>86,664</b>	<b>36,316</b>	<b>15,570</b>	<b>11,466</b>	<b>4,962</b>	<b>1,081</b>	<b>156,059</b>
<b>დარიცხული ცვეთა და გაუფასურება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>171</b>	<b>9,696</b>	<b>7,436</b>	<b>3,380</b>	<b>382</b>	<b>-</b>	<b>21,065</b>
ცვეთის დანარიცხი	1,351	3,470	2,233	1,889	106	-	9,049
გაუფასურება	608	-	-	-	-	-	608
ჩამოწერა	-	(383)	-	(375)	-	-	(758)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>2,130</b>	<b>12,783</b>	<b>9,669</b>	<b>4,894</b>	<b>488</b>	<b>-</b>	<b>29,964</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>60,208</b>	<b>20,645</b>	<b>4,266</b>	<b>5,989</b>	<b>4,353</b>	<b>1,740</b>	<b>97,201</b>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>84,534</b>	<b>23,533</b>	<b>5,901</b>	<b>6,572</b>	<b>4,474</b>	<b>1,081</b>	<b>126,095</b>

ჯგუფის მიწა და შენობა-ნაგებობები სისტემატურად გადაფასდება. ბოლო გადაფასების თარიღი 2011 წლის 31 დეკემბერი იყო. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა მოახდინა თავისი შენობა-ნაგებობების საბაზრო ფასების ანალიზი და დაასკვნა, რომ მათი საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ჯგუფის შენობები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს მიეკუთვნება. 2013 წელს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

შენობა-ნაგებობები თვითღირებულების მეთოდით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება იქნებოდა:

	2013	2012
თვითღირებულება	46,198	41,415
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	(5,342)	(4,418)
<b>ნარჩენი საბალანსო ღირებულება</b>	<b>40,856</b>	<b>36,997</b>

(ათას ლარში)

**11. არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივების, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების დინამიკა ასეთია:

	<i>პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები</i>
<b>თვითღირებულება</b>	
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>12,769</b>
შემოსავლები	1,739
გასვლები	(1)
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>14,507</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>3,489</b>
ამორტიზაციის დანარიცხი	1,358
გასვლები	-
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>4,847</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>9,280</b>
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>9,660</b>
	<i>პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები</i>
<b>თვითღირებულება</b>	
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>8,689</b>
შემოსავლები	4,099
გასვლები	(19)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>12,769</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>2,534</b>
ამორტიზაციის დანარიცხი	956
გასვლები	(1)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>3,489</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>6,155</b>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>9,280</b>

(ათას ლარში)

**12. გადასახადები**

მოგების გადასახადის (სარგებელი)/ ხარჯი მოიცავდა შემდეგს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	-	-
გადავადებული გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება	(2,620)	4,601
<b>მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი</b>	<b>(2,620)</b>	<b>4,601</b>

საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2013 და 2012 წლებში მოგების გადასახადის განაკვეთი, გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგებისა, 15% იყო. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებზე გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე</b>	<b>15,445</b>	<b>9,785</b>
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
<b>თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით</b>	<b>2,317</b>	<b>1,468</b>
ცვლილება აულიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი 0% განაკვეთით	(3,633)	5,072
სხვა	(1,679)	(2,038)
<b>მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი</b>	<b>(2,620)</b>	<b>4,601</b>

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში შემდეგია:

(ათას ლარში)

**12. გადასახადები (გაგრძელება)**

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება			დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება			
	2011	მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში	სხვა სრულ შემოსა- ვალში	2012	მოგება- ზარალის ანგარიშ- გებაში	კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების ცვლილების ეფექტი	2013
<b>გამოსაკეთი დროებითი სხვაობების</b>							
საგადასახადო ეფექტი							
ძირითადი საშუალებები	269	-	-	269	(269)	-	-
მომდევნო პერიოდზე გადატანილი							
საგადასახადო ზარალი	7,138	(1,309)	-	5,829	(4,534)	-	1,295
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,286	430	-	1,716	2,933	-	4,649
ინვესტიციები აქციებში	1,029	44	-	1,073	-	-	1,073
სხვა აქტივები	437	(233)	-	204	149	-	353
სხვა ვალდებულებები	347	64	-	411	64	-	475
<b>მთლიანი</b>							
გადავადებული							
საგადასახადო							
აქტივები	10,506	(1,004)	-	9,502	(1,657)	-	7,845
აუღიარებელი							
გადავადებული							
საგადასახადო აქტივი	(1,578)	(4,048)	-	(5,626)	4,331	-	(1,295)
<b>გადავადებული</b>							
საგადასახადო აქტივი	8,928	(5,052)	-	3,876	2,674	-	6,550
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების</b>							
საგადასახადო ეფექტი							
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(8,164)	451	91	(7,622)	(54)	(6,188)	(13,864)
გადავადებული							
საგადასახადო							
ვალდებულებები	(8,164)	451	91	(7,622)	(54)	(6,188)	(13,864)
წმინდა გადავადებული							
საგადასახადო							
აქტივები/ (ვალდებულებები)	764	(4,601)	91	(3,746)	2,620	(6,188)	(7,314)

(ათას ლარში)

**12. გადასახადები (გაგრძელება)**

ჯგუფს მომავალ პერიოდებზე გადატანილი აქვს საგადასახადო ზარალი 8,632 ლარის ოდენობით (2012 წ.: 38,858 ლარი), რომლის გამოყენების ვადაც იწურება 2014 წელს. ჯგუფმა მთლიანად დაარეზერვა ეს მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი. წლის განმავლობაში ბანკმა გამოიყენა მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი 27,367 ლარის ოდენობით (2012 წ.: 1,892 ლარი) და ჩამოწერა ვადაგასული ნაწილი 2,859 ლარის ოდენობით (2012 წ.: 6,831 ლარი). გამოყენების საგადასახადო ეფექტმა შეადგინა 4,105 ლარი (2011 წ.: 285 ლარი), ხოლო ჩამოწერის საგადასახადო ეფექტმა - 429 ლარი (2011 წ.: 1,024 ლარი). მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი გამოყენების ვადის ამოწურვის წლებითურთ წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

<i>ვადის ამოწურვის წელი</i>	<i>2013</i>	<i>2012</i>
2013	-	30,226
2014	6,310	6,310
2015	2,322	2,322
<b>მომდევნო პერიოდზე გადატანილი მთლიანი საგადასახადო ზარალი</b>	<b>8,632</b>	<b>38,858</b>
მომდევნო პერიოდზე გადატანილი აუღიარებელი საგასახადო ზარალი	(8,632)	(35,708)
<b>მომდევნო პერიოდზე გადატანილი წმინდა საგადასახადო ზარალი</b>	<b>-</b>	<b>3,150</b>

**13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები**

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>2013</i>	<i>2012</i>
მოთხოვნები ფულადი გადარიცხვების სისტემის ოპერატორების მიმართ	6,273	10,149
საინვესტიციო ქონება	4,986	4,793
განთავსებული საგარანტიო დეპოზიტები	1,403	1,388
გადახდილი გარანტიებიდან მისაღები ანგარიშები	764	794
დასაკუთრებული ქონება	725	712
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	637	637
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	555	577
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	304	171
დოკუმენტური ოპერაციებიდან მისაღები ანგარიშები	274	231
<b>სხვა</b>	<b>3,094</b>	<b>2,987</b>
	<b>19,015</b>	<b>22,439</b>
გამოკლებული - სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(2,374)	(1,372)
<b>სხვა აქტივები</b>	<b>16,641</b>	<b>21,067</b>

ფულადი გადარიცხვებიდან 6,273 ლარის (2012 წ.: 10,149 ლარის) ოდენობის მისაღები ანგარიშები წარმოადგენს საცალო კლიენტების მისამართით წინასწარ შესრულებულ ფულად გადარიცხვებს პერიოდის ბოლოსთვის, რაც შემდეგ რამდენიმე დღეში გადაიხადეს სისტემების ოპერატორებმა მომსახურების ხელშეკრულებების შესაბამისად.

(ათას ლარში)

**13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)**

საინვესტიციო ქონება ძირითადად მოიცავს “ზ” კლასის საოფისე ფართს ზუგდიდის საქმიან ნაწილში, რომლის საერთო საიჯარო ფართიც 1,848 კვ.მ.-ია და სასაწყობე შენობას თბილისის სამრეწველო უბანში, რომლის ფართიც 7,850 კვ.მ.-ს შეადგენს; ასევე თბილისის გარეთ მდებარე რამდენიმე შენობა-ნაგებობას.

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. ბოლო გადაფასების თარიღი 2013 წლის 31 დეკემბერია. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 22-ე შენიშვნა.

2013 წლის განმავლობაში საინვესტიციო ქონებაში, სამართლიანი ღირებულების გადაფასების გარდა, სხვა მოძრაობა არ დაფიქსირებულა.

ჯგუფის საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს მიეკუთვნება. 2013 წელს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული საგარანტიო დეპოზიტები ძირითადად წარმოადგენს დაგირავებულ სახსრებს “ვიზა ინკ.”-ში 609 ლარის, ხოლო “მასტერ ქარდ ინკ.”-ში 793 ლარის ოდენობით. (2012 წ.: “ვიზა ინკ.”-ში 579 ლარი, “მასტერ ქარდ ინკ.”-ში 757 ლარი).

ავანსები მოიცავს შემდეგს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	5,174	3,698
დაცვის მომსახურებისთვის გადახდილი ავანსი	3,297	4,401
პროფესიული მომსახურებისთვის გადახდილი ავანსი	198	203
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	109	107
საოფისე აღჭურვილობისთვის გადახდილი ავანსი	27	115
სხვა	1,122	1,062
<b>სულ გადახდილი ავანსები</b>	<b>9,927</b>	<b>9,586</b>

დაცვის მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები წარმოადგენს სსიპ "დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის" წინასწარ გადახდილ თანხებს. 2012 წლის 30 მაისს ბანკმა ხელი მოაწერა ხუთწლიან მომსახურების ხელშეკრულებას დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან 63 თვის ვადით, 2017 წლის 1 სექტემბრამდე. ხელშეკრულების თანხა 5 მილიონ ლარს შეადგენს. ხელშეკრულების თანახმად დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ბანკის სათავო ოფისს, ფილიალებსა და სხვა სადისტრიბუციო ცენტრებს, ასევე ინკასაციის მანქანებს დაცვის მომსახურებას გაუწევს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკმა აღიარა 1,104 ლარის ოდენობის ხარჯი 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2012 წ.: 583 ლარი).

(ათას ლარში)

**13. სხვა აქტივები, ავანსები და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)**

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	<i>2013</i>	<i>2012</i>
დარიცხული პრემია	3,069	1,884
დაუფარავი თანხები	2,804	4,690
სხვადასხვა კრედიტორები	1,647	766
არამატერიალურ აქტივებზე გადასახდელი ანგარიშები	840	1,498
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	264	703
გაცემული გარანტიების და აღებული ვალდებულებების რეზერვი	159	188
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	272
სხვა	2,396	1,933
<b>სხვა ვალდებულებები</b>	<b>11,179</b>	<b>11,934</b>

გაუფასურების რეზერვის და ანარიცხების დინამიკა ასეთია:

	<i>სხვა აქტივები</i>	<i>გარანტიები და ვალდებულებები</i>	<i>სულ</i>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>1,780</b>	<b>188</b>	<b>1,968</b>
დანარიცხი/(გაუქნება)	1,147	(29)	1,118
ჩამოწერა	(560)	-	(560)
ჩამოწერილი ქონების აღდგენა	7	-	7
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>2,374</b>	<b>159</b>	<b>2,533</b>

	<i>სხვა აქტივები</i>	<i>გარანტიები და ვალდებულებები</i>	<i>სულ</i>
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>1,601</b>	<b>99</b>	<b>1,700</b>
დანარიცხი	796	89	885
ჩამოწერა	(617)	-	(617)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>1,780</b>	<b>188</b>	<b>1,968</b>

მოთხოვნების, გარანტიების და ვალდებულებების ანარიცხები აღირიცხება სხვა ვალდებულებებში.

**14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	<i>2013</i>	<i>2012</i>
მიმდინარე ანგარიშები	2,168	1,035
ვადიანი ანაზრები და სესხები	174	27,138
<b>ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე</b>	<b>2,342</b>	<b>28,173</b>

(ათას ლარში)

### 15. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
მიმდინარე ანგარიშები	750,699	452,766
ვადიანი დეპოზიტები	407,972	243,651
<b>ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>1,158,671</b>	<b>696,417</b>
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	5,020	3,215

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ ვალდებულებები 274,665 ლარის (23.7%) ოდენობით მოდიოდა ათ უმსხვილეს მუდარეზე (2012 წლის 31 დეკემბერი: 214,250 ლარი (30.8%)).

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს ანგარიშებს კლიენტების შემდეგ ტიპებთან:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ფიზიკური პირები	542,922	301,710
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	474,457	323,963
კერძო საწარმოები	141,292	70,744
<b>ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>1,158,671</b>	<b>696,417</b>

ვალდებულებები კლიენტების წინაშე ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ფიზიკური პირები	542,922	301,710
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	474,457	323,963
ვაჭრობა	37,321	21,961
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	19,136	4,119
ენერჯეტიკა	15,678	3,054
უძრავი ქონების მშენებლობა	3,304	4,519
სოფლის მეურნეობა	785	1,120
სამთო მრეწველობა	67	116
სხვა	65,001	35,855
<b>ვალდებულებები კლიენტების მიმართ</b>	<b>1,158,671</b>	<b>696,417</b>

### 16. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 7,500,000,000 ჰველუბრივი აქციისგან, რომელთაგან 5,918,670,396 გამოშვებული იყო და 5,328,424,855 ჰველუბრივი აქცია სრულად იყო განაღდებული (2012 წლის 31 დეკემბერი: 6,000,000,000 ჰველუბრივი აქცია, რომელთაგან 5,918,670,396 გამოშვებული და 5,328,424,855 სრულად განაღდებული იყო). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.01 ლარი. გამოშვებული აქციების მთლიანი რაოდენობიდან 173,829,499 აქცია გადავადებული გადახდის პრინციპით არის მიყიდული Stichting Liberty ESOP-სთვის და მიეკუთვნება თანამშრომელთა აქციებით კომპენსაციის პროგრამას.

(ათას ლარში)

**16. კაპიტალი (გაგრძელება)**

სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მოძრაობა, გამოსყიდული აქციების გამოკლებით, აღწერილია ქვემოთ:

	<i>აქციების რაოდენობა</i>		<i>ნომინალური თანხა</i>		<i>სულ</i>
	<i>პრივილეგირებ</i>		<i>პრივილეგირებ</i>		
	<i>ული</i>	<i>ჩვეულებრივი</i>	<i>ული</i>	<i>ჩვეულებრივი</i>	
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	-	<b>4,270,769,547</b>	-	<b>42,708</b>	<b>42,708</b>
სააქციო კაპიტალის გაზრდა	892,584	1,057,655,308	893	10,576	<b>11,469</b>
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>892,584</b>	<b>5,328,424,855</b>	<b>893</b>	<b>53,284</b>	<b>54,177</b>
სააქციო კაპიტალის გაზრდა	4,286,480	-	4,286	-	<b>4,286</b>
<b>31 დეკემბერი, 2013 წ.</b>	<b>5,179,064</b>	<b>5,328,424,855</b>	<b>5,179</b>	<b>53,284</b>	<b>58,463</b>

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალში შენატანი განახორციელეს ლარში და ისინი უფლებამოსილი არიან დივიდენდები და კაპიტალის ნებისმიერი განაწილება მიიღონ ლარში.

2013 წლის განმავლობაში ახალი ჩვეულებრივი აქციები არ გაყიდულა.

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ბანკმა მოიზიდა 18,614 ლარი პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქების კონვერტაციით 1,057,655,308 ახლად გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციად. კონვერტაციის ფასი შეადგენდა 0.0176 ლარს (რის შედეგადაც ნომინალური კაპიტალი 10,576 ლარით, და დამატებით შეტანილი კაპიტალი 8,038 ლარით გაიზარდა). შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია" და სს "ლიბერთი კაპიტალი" ფლობდნენ პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქების 95.7%-ს, ხოლო დანარჩენს - უმცირესობის წილის მფლობელები.

*კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები*

2012 წლის აგვისტოში ბანკმა გამოუშვა და საქართველოში საჯარო შეთავაზების მეშვეობით ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა 10,000,000 კონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია, რომლებიც გამოსყიდვას არ ექვემდებარება. თითო პრივილეგირებული აქციის განთავსების მთლიანი ფასი იყო 1 ლარი (საჯარო შეთავაზების ნებადართული ოდენობა შემდეგ გაიზარდა 30,000,000 კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციამდე), რომელთაგან 5,179,064 იყო მიმოქცევაში და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის სრულად განაღდებული (2012 წ.: 892,584), ხოლო დანარჩენი აქციები გასაყიდად არსებული საჯარო შეთავაზების გზით და მათი ვადა 2015 წლის 31 დეკემბერს იწურება. ბანკის პრივილეგირებული კონვერტირებადი აქციები არ არის ბირჟაზე კოტირებული. კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები მუდმივია და მათი კონვერტირება, მფლობელის სურვილისამებრ, შეიძლება ბანკის ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის ფასით, რომელიც წარმოადგენს წინა კალენდარული წლის ბოლოსთვის ბანკის ფასს-ის შესაბამისად აუდიტის მიხედვით ჩვეულებრივი აქციების საბალანსო ღირებულების 1.05-ზე გამრავლებულ ოდენობას.

კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების განაკვეთი წელიწადში 17%-ია, გადაიხდება ყოველწლიურად და ექვემდებარება აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებას ყოველ წელს. დივიდენდები არ არის კუმულაციური. კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირდა კაპიტალის ნაწილად თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის და მისი სამართლიანი ღირებულება ნულს შეადგენდა.

დივიდენდის გადახდა დამოკიდებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგზე და კაპიტალის ადეკვატურობის გონივრულ მოთხოვნებზე და შეიძლება, სხვა მიზეზებთან ერთად, შეიზღუდოს არსებული კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით, ფინანსური ხელშეკრულებითა და სხვა შეთანხმებებითა თუ ვალდებულებებით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

(ათას ლარში)

## 16. კაპიტალი (გაგრძელება)

2013 წელს ცამეტმა წამყვანმა თანამშრომელმა, რომლებსაც ერთობლივად გადაეცა ბანკში გაწეული სამსახურისთვის 1,200 ლარის პრემია, შეისყიდა 960,000 კონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია, თითო სრულად განაღდებული კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციის 1 ლარის საერთო განთავსების ფასად.

*საბაზო/განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე*

ჯგუფი წარმოადგენს მონაცემებს ერთ აქციაზე საბაზო და განზავებული შემოსავლის შესახებ თავისი ჩვეულებრივი აქციებისთვის. საბაზო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების ან ზარალის შეფარდებით პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე განისაზღვრება ჩვეულებრივი აქციების მფლობელების მოგების ან ზარალის და მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობის დაკორექტირებით, პოტენციური ჩვეულებრივი აქციების განზავების ეფექტის გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავს თანამშრომლებისთვის გაცემულ ოფციონებს და პრივილეგირებულ აქციებს.

2013 წელს ჯგუფის ჩვეულებრივი აქციონერების კუთვნილი წმინდა შემოსავალმა შეადგინა 18,065 ლარი (2012 წ.: 5,184 ლარი), ხოლო წლის განმავლობაში მიმოქცევაში მყოფი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა იყო 5,502,254,354 (2012 წ.: 4,653,621,404), შესაბამისად, შემოსავალი ერთ აქციაზე 2013 წელს შეადგენდა 0.00315 ლარს (ჯამურად) (2012 წ.: 0.00111 ლარი).

2013 წლის 31 დეკემბერს პრივილეგირებულ აქციებს არ ჰქონდა განზავების ეფექტი, რადგან 0.021 ლარის კონვერტაციის ფასი აჭარბებდა აღნიშნული პერიოდის კოტირებულ საშუალო შეწონილ საბაზრო ფასს - 0.009 ლარს. ამრიგად, განზავება არ მოიცავდა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონვერტირებადი 5,179,064 პრივილეგირებული აქციის ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის პოტენციურ ეფექტს (2012 წლის 31 დეკემბრისთვის ჩვეულებრივი აქციების განზავებული რაოდენობა იყო 4,701,071,753, რის შედეგადაც განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე 2012 წლისთვის შეადგენდა 0.00110 ლარს (ჯამურად). განზავების ეფექტი გამოიწვია 892,584 პრივილეგირებული აქციის კონვერტაციამ ჩვეულებრივ აქციებად).

*დივიდენდები*

2013 და 2012 წლებში ბანკს არ გადაუხდია დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე. 2013 წელს ბანკმა კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადაიხადა დივიდენდები 717 ლარის ოდენობით (2012 წ.: ნული).

*სხვა რეზერვები*

სხვა რეზერვების დინამიკა ასეთია:

	<i>ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი</i>	
	<i>რეზერვი</i>	<i>სულ</i>
<b>2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>21,763</b>	<b>21,763</b>
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	(481)	(481)
ხანძრით გამოწვეული გაუფასურების ზარალი, გადასახადის გათვალისწინებით	(517)	(517)
<b>2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>20,765</b>	<b>20,765</b>
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	(483)	(483)
<b>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>20,282</b>	<b>20,282</b>

*(ათას ლარში)***16. კაპიტალი (გაგრძელება)****სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება***ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი*

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გამოიყენება შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

**17. პირობითი ვალდებულებები****საოპერაციო გარემო**

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის შედეგად ქვეყანა პოლიტიკურად სტაბილური გახდა და დემოკრატიული მმართველობაც განმტკიცდა, რაც კიდევ უფრო გაამყარა 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებმა დაადასტურეს საქართველოს ქვეყნის რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით. საქართველო წინასწარი (არაფულადი) ლოდინის რეჟიმშია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელიც უზრუნველყოფს დიალოგს მაკროეკონომიკური და ფულად-საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით. საქართველოს სახელმწიფო და კორპორატიული ევრობლიგაციები 2013 წლის 31 დეკემბრისთვის ნომინალურზე მეტი ღირებულებით ივაჭრებოდა. ბოლო წლებში საქართველომ საფუძვლიანი სტრუქტურული რეფორმები გაატარა. 2013 წელს ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით საქართველომ მსოფლიო ბანკის რეიტინგში მე-9 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა და გაცილებით უსწრებს რეგიონის სხვა ქვეყნებს. ეკონომიკის მიწოდების ნაწილში განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ქვეყნის მდგრადობას გარე გამოწვევების მიმართ, რომლებსაც გლობალურ ფინანსურ და საკრედიტო ბაზარზე შექმნილი ვითარება განაპირობებდა. 2009 წლის შედარებით უმნიშვნელო რეცესიის შემდეგ, ეკონომიკამ მნიშვნელოვანი აღმავლობა განიცადა და 2011 წელს 7.0%-ით, 2012 წელს 6.2%-ით, ხოლო 2013 წელს 3.1%-ით გაიზარდა; ამასთან, 2014 წლის პროგნოზით მშპ-ს ზრდამ 5%-ს უნდა გადააჭარბოს.

ბიუჯეტის დეფიციტი 2013 წელს მშპ-ის 2.7%-ს გაუტოლდა (2012 წ.: 2.8%). ჯეროვანი ფისკალური და საკრედიტო-ფულადი ზომების ურთიერთქმედებისა და საბანკოს სექტორის გონივრული ზედამხედველობის შედეგად ფინანსურმა სექტორმა დადებითი დინამიკა შეინარჩუნა და გაუმკლავდა სავალუტო და საკრედიტო რისკებს, რის შედეგადაც სესხების ზღვრული პორტფელი გაიზარდა და ამავდროულად უმოქმედო სესხები დაბალ დონეზე შენარჩუნდა მთლიანი საბანკო სექტორისთვის. პერიოდის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უარყოფითი 1.3%-დან 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადებითი 2.4%-ით შეიცვალა. სახელმწიფო სესხების წილი მშპ-ში შეადგენდა 34.5%-ს 2013 წლის 31 დეკემბრისთვის. სახელმწიფო და სებ-ი საკმარის ლიკვიდურობას ინარჩუნებენ სებ-ში სახელმწიფო ფულადი დეპოზიტებისა და სებ-ის საერთაშორისო რეზერვების სახით.

საქართველოს კვლავაც მოკრძალებული ზომის, ღია ეკონომიკა აქვს, რომელზეც გავლენას ახდენს გარე ტენდენციები და ზეწოლა. ბოლო წლებში გატარებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა გარკვეული ბუფერის შექმნა და სტრატეგიების დასახვა, თუმცა გარე კაპიტალის ბაზრებზე არსებულმა მდგომარეობამ და მსოფლიოში საკრედიტო პირობების მერყეობამ (თუ გაცდება გარკვეულ მასშტაბსა და სიღრმეს) შეიძლება მაინც იმოქმედოს ქვეყნის მომხმარებლების, კრედიტორებისა და ინვესტორების ნდობაზე. საქართველოში 2008-2009 წლებიდან მოყოლებული უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე, კომპანიების შემცირებული ლიკვიდურობა და რენტაბელურობა, და იურიდიული თუ ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობა მაინც უარყოფითად აისახება ჯგუფის მსესხებლების უნარზე, დაფარონ ჯგუფის მიმართ მათი ვალდებულებები. ეკონომიკურ გარემოში მომხდარი ცვლილებები მოქმედებს სესხების და სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფის საგნების ღირებულებაზე. ჯგუფს მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაუფასურების შეფასებაში დაკორექტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები აქვს ასახული.

(ათას ლარში)

**17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**იურიდიული საკითხები**

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

ჯგუფის პირობითი ვალდებულებები შემდეგია:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>საკრედიტო ვალდებულებები</b>		
გარანტიები	13,083	27,318
აკრედიტივები	157	-
გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები	53,136	23,200
	<b>66,376</b>	<b>50,518</b>
<b>ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან</b>		
არაუგვიანეს 1 წლისა	3,826	2,911
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	9,341	7,400
5 წელზე გვიან	4,811	4,872
	<b>17,978</b>	<b>15,183</b>
პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან გამოკლებული - რეზერვები (მე-13 შენიშვნა)	1,279 (159)	455 (188)
<b>პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)</b>	<b>85,474</b>	<b>65,968</b>
გამოკლებული - გამოშვებული გარანტიების და აკრედიტივების უზრუნველსაყოფად ფლობილი ნაღდი ფული	(5,020)	(3,215)
<b>პირობითი ვალდებულებები</b>	<b>80,454</b>	<b>62,753</b>

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ჰქონდა ბანკების კომპლექსური დაზღვევა, დირექტორებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობის, ასევე ქონებისა და ავტოტრანსპორტის დაზღვევა.

(ათას ლარში)

**18. წმინდა საკომისიო შემოსავალი**

წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან მოიცავდა შემდეგს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ფულადი გადარიცხვები	7,084	7,781
საანგარიშსწორებო ოპერაციები	5,599	5,098
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	4,982	4,731
საკასო ოპერაციები	1,614	2,044
კომუნალური გადარიცხვებიდან მიღებული შემოსავალი	1,362	1,574
გარანტიები და აკრედიტივები	507	1,345
სოციალური მომსახურების სააგენტოდან და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავალი	8	8,738
სხვა	3,396	1,892
<b>მიღებული გასამრჯელო და საკომისიო</b>	<b>24,552</b>	<b>33,203</b>
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	(2,450)	(2,058)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(2,057)	(2,053)
საკასო ოპერაციები	(45)	(40)
გარანტიები და აკრედიტივები	(26)	(197)
<b>საკომისიო ხარჯი</b>	<b>(4,578)</b>	<b>(4,348)</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>19,974</b>	<b>28,855</b>

**19. სხვა შემოსავალი**

სხვა შემოსავალი მოიცავს:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
შემოსავალი კლიენტთა სესხების და ავანსების დაფარვის დაგვიანებასთან დაკავშირებული ჯარიმებიდან	4,583	2,634
შემოსავალი იჯარიდან	670	737
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	194	-
შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან	155	144
შემოსავალი აქტივების გაყიდვიდან	47	80
დაზღვევის მიერ ხანძრით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შედეგად მიღებული შემოსავალი	-	595
სხვა	575	627
<b>სხვა შემოსავლები, სულ</b>	<b>6,224</b>	<b>4,817</b>

(ათას ლარში)

## 20. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

თანამშრომლებზე გაწეული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	<i>2013</i>	<i>2012</i>
ხელფასები	34,384	33,165
ცვალეზადი პრემია	3,780	1,868
სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული პრემიალური თანხები	2,494	2,297
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია	1,208	275
<b>თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი</b>	<b>41,866</b>	<b>37,605</b>
	<i>2013</i>	<i>2012</i>
იჯარა და ქირა	4,035	3,337
მარკეტინგი და რეკლამა	2,438	2,370
საოფისე აღჭურვილობა	2,223	1,729
კომუნალური ხარჯი	1,714	1,726
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	1,707	1,112
საოპერაციო გადასახადები	1,397	1,320
საკომუნიკაციო მომსახურება	1,300	983
დაცვა-უსაფრთხოება	1,098	1,111
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	576	626
მგზავრობის ხარჯი	550	549
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	454	316
დაზღვევა	406	425
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	109	75
სხვა	2,384	3,221
<b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>20,391</b>	<b>18,900</b>

## 21. რისკის მართვა

### შესავალი

რისკები დამახასიათებელია ჯგუფის საქმიანობისთვის, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

### რისკის მართვის სტრუქტურა

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო; თუმცა რისკების მართვა და მონიტორინგი ასევე ხორციელდება ჯგუფის დამოუკიდებელი განყოფილებების მიერ.

*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****შესავალი (გაგრძელება)***დირექტორთა საბჭო*

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფში რისკებთან დაკავშირებული მთელი პროცესის მონიტორინგზე.

*აუდიტის კომიტეტი*

აუდიტის კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

*ხაზინა*

ბანკის ხაზინა პასუხისმგებელია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების, და მთლიანი ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ჯგუფის დაფინანსებისა და ლიკვიდობის რისკის მართვა.

*შიდა აუდიტი*

ჯგუფში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ჯგუფის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ჯგუფის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

*რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემები*

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პროგნოზირებულ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს, ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შერჩეულ დარგებზე.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიში შეიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, ლიმიტების გამონაკლისებს, ლიკვიდობის კოეფიციენტებს და რისკის პროფილის ცვლილებებს. ხელმძღვანელობა ყოველთვის ურად აფასებს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობას.

რისკების შესახებ სპეციალურად მომზადებული ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ჯგუფის ყველა დონეზე, რათა ყველა განყოფილებას ჰქონდეს წვდომა ამომწურავ, სათანადო და განახლებულ ინფორმაციაზე.

ჯგუფი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფის საგნებს თავისი საკრედიტო რისკის შესამცირებლად.

*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****შესავალი (გაგრძელება)***რისკის ჭარბი კონცენტრაცია*

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ჯგუფის საქმიანობის მეტ მგრძობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეების, ასევე გეოგრაფიული და დარგობრივი კონცენტრაციებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს.

საჭიროების შემთხვევაში ბანკი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

*საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი*

ჯგუფი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ჯგუფს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება აკრედიტივის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

*საკრედიტო რეიტინგი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით*

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ჯგუფის შიდა საკრედიტო სარეიტინგო პოლიტიკით. ცხრილში მოცემულია საკრედიტო რეიტინგი აქტივების ტიპების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგების სასესხო მუხლებისთვის, ცხრილში მოყვანილ კატეგორიებზე დაყრდნობით.

(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

<i>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>შენიშ- ვნები</i>	<i>არც ვადაგადაცი- ლებული და არც გაუფასურებული, 2013 წ.</i>	<i>ვადაგადაცი- ლებული, მაგრამ არა გაუფასურებული, 2013 წ.</i>	<i>ინდივიდუა- ლურად გაუფასურე- ბული, 2013 წ.</i>	<i>სულ 2013 წ.</i>
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	40,451	-	-	40,451
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	8				
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		347,083	7,738	10,934	365,755
სამომხმარებლო სესხები		66,691	9,005	6,295	81,991
მიკროსესხები		58,188	468	267	58,923
სალომბარდო სესხები კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		52,802	1,210	-	54,012
იპოთეკური სესხები		33,282	4,959	12,078	50,319
		15,420	313	169	15,902
		<b>573,466</b>	<b>23,693</b>	<b>29,743</b>	<b>626,902</b>
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	133,441	-	-	133,441
<b>სულ</b>		<b>747,358</b>	<b>23,693</b>	<b>29,743</b>	<b>800,794</b>

(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

<i>2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>შენიშ- ვნები</i>	<i>არც ვადაგადაცი- ლებული და არც გაუფასურებული, 2012 წ.</i>	<i>ვადაგადაცილე- ბული, მაგრამ არა გაუფასურებული, 2012 წ.</i>	<i>ინდივიდუა- ლურად გაუფასუ- რებული, 2012 წ.</i>	<i>სულ 2012 წ.</i>
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	2,673	-	-	2,673
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	8				
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		246,549	5,130	8,359	260,038
სამომხმარებლო სესხები		31,793	3,062	3,328	38,183
მიკროსესხები		22,382	103	149	22,634
სალომბარდო სესხები კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე		19,228	987	-	20,215
გაცემული სესხები იპოთეკური სესხები		24,349	9,086	5,011	38,446
		18,338	804	286	19,428
		<b>362,639</b>	<b>19,172</b>	<b>17,133</b>	<b>398,944</b>
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	59,159	-	-	59,159
<b>სულ</b>		<b>424,471</b>	<b>19,172</b>	<b>17,133</b>	<b>460,776</b>

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ მიიჩნევა გაუფასურებულად.

ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროსა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაქტის რისკის შეფასებისთვის. სხვადასხვა კატეგორიის რისკებისთვის შესაბამისი შიდა რეიტინგი არსებობს. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	30 დღეზე ნაკლები 2013	31-დან 60 დღემდე 2013	61-დან 90 დღემდე 2013	90 დღეზე მეტი 2013	სულ 2013
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	8					
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		4,551	2,380	807	–	7,738
სამომხმარებლო სესხები		6,010	1,939	1,056	–	9,005
მიკროსესხები		298	116	54	–	468
სალომბარდო სესხები		781	199	79	151	1,210
კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		851	539	69	3,500	4,959
იპოთეკური სესხები		95	190	28	–	313
<b>სულ</b>		<b>12,586</b>	<b>5,363</b>	<b>2,093</b>	<b>3,651</b>	<b>23,693</b>

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	30 დღეზე ნაკლები 2012	31-დან 60 დღემდე 2012	61-დან 90 დღემდე 2012	90 დღეზე მეტი 2012	სულ 2012
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	8					
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		3,690	1,078	362	–	5,130
სამომხმარებლო სესხები		1,691	768	603	–	3,062
მიკროსესხები		72	21	10	–	103
სალომბარდო სესხები		634	163	68	122	987
კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		2,711	1,094	695	4,586	9,086
იპოთეკური სესხები		545	201	58	–	804
<b>სულ</b>		<b>9,343</b>	<b>3,325</b>	<b>1,796</b>	<b>4,708</b>	<b>19,172</b>

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 შენიშვნა.

*რესტრუქტურულიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:*

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს რესტრუქტურულიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას კატეგორიების მიხედვით:

	<i>2013</i>	<i>2012</i>
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>		
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით	89	101
სამომხმარებლო სესხები	21,834	8,805
მიკროსესხები	516	239
კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	4,735	4,488
იპოთეკური სესხები	143	143
<b>სულ</b>	<b>27,317</b>	<b>13,776</b>

### *გაუფასურების შეფასება*

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის ვადაგადაცილება 90 დღეზე მეტი ვადით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის მიმდინარე სირთულეს კონტრაქტის ფულადი სახსრების მიმოქცევაში, კრედიტუნარიანობის გაუარესებას და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული რეზერვების მიხედვით.

### *ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურება*

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ჯგუფი ადგენს შესაფერის რეზერვს. გადაწყვეტილება დამოკიდებულია კონტრაქტის ბიზნეს-გეგმის მდგრადობაზე, ფინანსური პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობებზე ფინანსური, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროულობაზე. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი მიზეზები მოითხოვს უფრო დეტალურ ყურადღებას.

### *კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება*

გაუფასურების რეზერვის კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (მათ შორის საკრედიტო ბარათები, იპოთეკა, სამომხმარებლო სესხები და რეგულარული შემოსავლის მქონე საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ფასდება შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით: პორტფელთან დაკავშირებული ისტორიული ზარალი, არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა ზარალის სავარაუდო წარმოშობიდან ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის საჭიროების დადგენამდე, აგრეთვე, გაუფასურების შემდგომ მოსალოდნელი მისაღები და ამოღებული თანხები. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განსაზღვროს დროის ის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც სესხი გაუფასურებულად გამოცხადდება. ზემოაღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობამ შეიძლება ერთი წელიც შეადგინოს. გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას ჯგუფის საერთო პოლიტიკასთან ამოწმებს საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელობა.

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და მათი ანარიცხების განსაზღვრა ხდება სესხების ანალოგიურად.

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2013				2012				
	საქარ- თველო	ერთი ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები სულ	საქარ- თველო	ერთი ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები სულ	საქარ- თველო	ერთი ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები სულ
<b>აქტივები:</b>									
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები	329,243	20,367	5,479	<b>355,089</b>	215,312	11,527	6,115		<b>232,954</b>
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	37,847	2,604	-	<b>40,451</b>	80	2,593	-		<b>2,673</b>
კლიენტებზე გაცემული სესხები	600,080	-	-	<b>600,080</b>	378,118	-	-		<b>378,118</b>
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	133,441	-	-	<b>133,441</b>	59,159	-	-		<b>59,159</b>
ყველა სხვა აქტივი	163,151	1,402	-	<b>164,553</b>	164,690	1,338	-		<b>166,028</b>
	<b>1,263,762</b>	<b>24,373</b>	<b>5,479</b>	<b>1,293,614</b>	<b>817,359</b>	<b>15,458</b>	<b>6,115</b>		<b>838,932</b>
<b>ვალდებულებები:</b>									
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,342	-	-	<b>2,342</b>	28,173	-	-		<b>28,173</b>
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	232	40	-		<b>272</b>
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,117,547	13,431	27,693	<b>1,158,671</b>	667,798	7,814	20,805		<b>696,417</b>
ყველა სხვა ვალდებულება	18,493	-	-	<b>18,493</b>	15,408	-	-		<b>15,408</b>
	<b>1,138,382</b>	<b>13,431</b>	<b>27,693</b>	<b>1,179,506</b>	<b>711,611</b>	<b>7,854</b>	<b>20,805</b>		<b>740,270</b>
<b>წმინდა აქტივები / (ვალდებულებები)</b>	<b>125,380</b>	<b>10,942</b>	<b>(22,214)</b>	<b>114,108</b>	<b>105,748</b>	<b>7,604</b>	<b>(14,690)</b>		<b>98,662</b>

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ჯგუფი მოელოს, რომ მენაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ჯგუფს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ჯგუფის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30 დღეზე 3 თვეზე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე 5 წელი	სულ
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,168	174	-	-	2,342
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	858,771	243,910	86,096	1,815	1,190,592
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>860,939</b>	<b>244,084</b>	<b>86,096</b>	<b>1,815</b>	<b>1,192,934</b>
<b>2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>30 დღეზე 3 თვეზე</b>	<b>3-დან 12 თვემდე</b>	<b>1-დან 5 წლამდე</b>	<b>5 წელზე 5 წელი</b>	<b>სულ</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,411	26,933	-	-	28,344
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	497,470	187,027	31,923	1,423	717,843
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>498,881</b>	<b>213,960</b>	<b>31,923</b>	<b>1,423</b>	<b>746,187</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოყენებული სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვნა.

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე 5 წელი	სულ
2013	59,616	10,294	10,032	5,691	85,633
2012	43,375	6,092	10,938	5,751	66,156

ჯგუფის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დინამიკა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. ბანკს არ აქვს საბაზრო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე ან სამართლიან ღირებულებებზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 31 დეკემბრისთვის არსებულ ცვლადი განაკვეთის არა-სავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს. რადგანაც ჯგუფის ყველა პროცენტთან აქტივსა და ვალდებულებას ფიქსირებული განაკვეთი აქვს, მასზე არ მოქმედებს არსებულ პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთის მერყეობის რისკი.

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. დირექტორთა საბჭოს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ჯგუფისათვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ჯგუფის არასავაჭრო ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	ლარის გაცვლითი კურსის გამყარება/ (გაუფასურება) შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში %	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე	ლარის გაცვლითი კურსის გამყარება/ (გაუფასურება) შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში %	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
	2013	2013	2012	2012
აშშ დოლარი	-4.80%	186	0.81%	30
ევრო	-9.47%	(2)	-0.98%	(8)

*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ჯგუფი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზირებასა და შიდა აუდიტს.

**22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები****სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა**

ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს, როგორცაა ძირითადი საშუალებები და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, გარე შემფასებლები აფასებენ. გარე შემფასებლების დაქირავების თაობაზე ხელმძღვანელობა ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას ბანკის აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებით. შერჩევის კრიტერიუმებში შედის ბაზრის ცოდნა, რეპუტაცია, დამოუკიდებლობა და პროფესიული სტანდარტების დაცვა. შემფასებლის როტაცია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება. ხელმძღვანელობა, ჯგუფის გარე შემფასებლებთან გამართული განხილვების შემდეგ გადაწყვეტს, თითოეულ შემთხვევაში შეფასების რომელი მეთოდები და მონაცემები გამოიყენოს.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ჯგუფი ანალიზებს იმ აქტივებისა და ვალებულებების ღირებულებების ცვლილებას, რომელთა ხელახლა შეფასებაც აუცილებელია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ ანალიზისთვის ხელმძღვანელობა ამოწმებს ბოლო შეფასებაში გამოყენებულ ძირითად მონაცემებს, რისთვისაც შეფასების გაანგარიშებაში გამოყენებულ ინფორმაციას უდარებს ხელშეკრულებებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებს. ხელმძღვანელობა, ჯგუფის გარე შემფასებლებთან ერთად, ასევე ადარებს ყოველ ცვლილებას თითოეული აქტივისა და ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში შესაბამის გარე წყაროებთან, რათა განსაზღვროს ეს ცვლილება კანონზომიერია, თუ არა. ხელმძღვანელობა და ჯგუფის გარე შემფასებლები შეფასების შედეგებს წარუდგენს აუდიტის კომიტეტსა და ჯგუფის დამოუკიდებელ აუდიტორებს. ამასთან, ხდება შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების განხილვაც.

**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(ათას ლარში)

**22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით**

წინამდებარე ცხრილში გაწერილია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	სამარ- საბალანსო			სამარ- თლიანი		
	საბალანსო ღირებუ- ლება 2013	ღირებუ- ლება 2013	აუღიარებე- ლი მოგება/ (ზარალი) 2013	საბალანსო ღირებუ- ლება 2012	ღირებუ- ლება 2012	აუღიარებე- ლი მოგება/ (ზარალი) 2012
<b>ფინანსური აქტივები</b>						
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	133,441	136,851	3,410	59,159	61,130	1,971
<b>არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი უღიარებელი ცვლილება</b>			<b>3,410</b>			<b>1,971</b>

**შეფასების მეთოდები და დაშვებები**

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები*

კოტირებული თამასუქების და ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა ფასების კოტირებას საანგარიშგებო თარიღისთვის და მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონეს. არაკოტირებული ინსტრუმენტების, კლიენტებზე გაცემული სესხების, კლიენტთა ანაზრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, სებ-ისთვის და საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

*საინვესტიციო ქონება*

უძრავი ქონების შეფასების სამი ძირითადი მეთდი არსებობს:

*(ათას ლარში)***22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)****შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)***საბაზრო მეთოდი*

განსაზღვრავს უძრავი ქონების საბაზრო ფასის ზღვარს, რისთვისაც ამოწმებს მყიდველების მიერ შესაფასებელი ქონების ანალოგიურ ობიექტებში გადახდილ ფასებს. ხდება ყიდვის გარიგების საფუძვლიანი შემოწმება, რათა დაზუსტდეს, რომ გარიგების მხარეები სათანადოდ იყვნენ მოტივირებულები. არ განიხილება ისეთი გასაყიდი ფასები, რომლებშიც გარიგების მხარეს აქვს ბაზრის ტიპური მონაწილისგან განსხვავებული მოტივაცია, მაგ. სპეციფიკური ყიდვა-გაყიდვის გარიგებები, სადაც მყიდველი მზადაა ზედმეტი გადაიხადოს გარკვეულ ქონებაში. ამ მეთოდის მიხედვით ხდება შედარების ერთეულების, მაგალითად შენობის მთლიანი ფართობის ერთი კვადრატული მეტრის ფასის გაანალიზება. გაყიდვების/კოტირების კორექტირებები ხდება ადგილმდებარეობის, ზომის, სიძველისა და მდგომარეობის, დაფინანსებისა და ბევრი სხვა ფაქტორის მიხედვით, რომლებმაც შეიძლება რამე გავლენა მოახდინონ ღირებულებაზე.

შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულების გაყიდვების შედარებითი (საბაზრო მონაცემების) მეთოდით ანალიზისას გამოიყენება საუკეთესო ხელმისაწვდომი, უახლესი და მსგავსი ობიექტების გასაყიდი/კოტირებული ფასები საანგარიშგებო თარიღისთვის.

შესადარისი ობიექტების გაყიდვისა და კოტირების ფასების შესახებ ინფორმაცია მიიღება საბროკერო კომპანიებისგან, შუამავლებისა და ბროკერებისგან, ასევე საჯარო წყაროებიდან, მათ შორის ვებგვერდებზე განთავსებული საბროკერო მომსახურების განცხადებებიდან და გამოქვეყნებული მონაცემებიდან. შემდეგ ხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება ობიექტების მფლობელებთან და/ან აღნიშნულ გაირგებებში მონაწილე პრინციპალებთან თუ ბროკერებთან.

*თვითღირებულების მეთოდი*

უძრავი ქონების ღირებულებას განსაზღვრავს ანალოგიური დანიშნულებით მიწის შესყიდვისა და ახალი შენობის აშენების ან ძველი შენობის განახლების ხარჯის გამოანგარიშებით, დაგვიანებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების გარეშე. მიწისა და მშენებლობის ხარჯებს, ჩვეულებრივ, ემატება მეწარმის წამახალისებელი ანაზღაურება ან დეველოპერის მოგება/ზარალი. ძველი შენობების შემთხვევაში დანახარჯების მეთოდი გამოიყენება ცვეთის ხარჯის გამოსათვლელად, ფიზიკური ცვეთისა და ფუნქციონალური ცვეთის ჩათვლით.

ხარჯის ჩანაცვლების მეთოდის ძირითადი მიდგომა იმას გულისხმობს, რომ არავინ გადაიხდის მოცემულ ქონებაში იმაზე მეტს, ვიდრე დაუჯდებოდა მისი აშენება.

დანახარჯების მეთოდი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- მიწის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება;
- გაუმჯობესების აღდგენითი ან ჩანაცვლების ხარჯის გაანგარიშება;
- ყველა წყაროდან (ფიზიკური, ფუნქციონალური ცვეთა, გარეგანი და ეკონომიკური დაძველება) დარიცხული ცვეთის გაანგარიშება;
- აღდგენითი ან ჩანაცვლების ხარჯიდან დარიცხული ცვეთის გამოკლება, ცვეთის დარიცხვის შემდგომი გაუმჯობესების ხარჯის გამოსათვლელად;
- აღჭურვილობის ხარჯის გაანგარიშება და ცვეთის გამოკლება;
- ცვეთის დარიცხვის შემდგომი გაუმჯობესების ხარჯის დამატება ცვეთის დარიცხვის შემდგომ აღჭურვილობის ხარჯისა და მიწის ღირებულებისთვის, ქონების მთლიანი ღირებულების მისაღებად.

*(ათას ლარში)***22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)****შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)***შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი*

შემოსავლების წარმოქმნის მეთოდოლოგია ეყრდნობა შესაფასებელი ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ ჰიპოთეტურ შემოსავალს. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების მიახლოებითი გაანგარიშება ხდება კაპიტალიზაციის კოეფიციენტზე დაყრდნობით, რომელიც გამოითვლება ალტერნატიული საინვესტიციო მეთოდოლოგიის გრძელვადიანი განაკვეთის საფუძველზე.

*დისკონტირებული ფულადი ნაკადები*

დასრულებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადებით. რეალური და პროგნოზირებული საბაზრო მოთხოვნის, საწარმოებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ტიპების, ფასწარმოქმნის პოლიტიკისა და ბაზარზე მოსალოდნელი კონკურენციის საფუძველზე, შემუშავდება ბიზნესის სტრატეგიული ფინანსური პროგნოზი. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით, ქონების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხდება ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში მისი საკუთრების შედეგად მისაღები სარგებლისა და ვალდებულების დაშვებების საფუძველზე, გასვლის და საბოლოო ღირებულების ჩათვლით. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი შემოსავლის მეთოდით შეფასების ფარგლებში ფართოდ გამოიყენება და ნიშნავს უძრავ ქონებაზე ფულადი ნაკადების პროგნოზირებას. შემდეგ ხდება ამ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დისკონტირება საბაზრო დისკონტირების განაკვეთით, რათა დადგინდეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შემომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. ფულადი ნაკადების ვადიანობასა და შემოღობვა-გადინების დროებზე მოქმედებს ისეთი მოვლენები, როგორცაა იჯარის გადასინჯვა, საიჯარო ხელშეკრულების განახლება და მოიჯარეების მოზიდვის, ხელახლა გაქირავების, ხელახლა განვითარების ან განახლების შესაბამისი პერიოდები. მიზანშეწონილ ვადას განსაზღვრავს ანალოგიური უძრავი ქონებისთვის დამახასიათებელი საბაზრო ქცევა.

საინვესტიციო ქონების შეთხვევაში, პერიოდული ფულადი ნაკადი ჩვეულებრივ გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ერთობლივ შემოსავალს აკლდება შენობის უქმად მოცდენის ხარჯი, ხარჯები, რომლებიც ამოღებას არ ექვემდებარება, ამოუღებელი საიჯარო დავალიანების ზარალი, იჯარის სტიმულირების, ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურების ხარჯები, შუამავლის ანაზღაურებისა და საკომისიო ხარჯები, და სხვა საოპერაციო და მართვის ხარჯები. შემდეგ ხდება პერიოდული წმინდა ფულადი ნაკადების შემოღობვის დისკონტირება, საპროგნოზო პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საბოლოო ღირებულებასთან ერთად.

(ათას ლარში)

**22. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

**შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენლია რაოდენობრივი ინფორმაცია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების (მდგენელების) შესახებ, რომლებიც გამოიყენება სამართლებრივ ღირებულებათა იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

<i>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>საბალანსო ღირებუ- ლება</i>	<i>შეფასების მეთოდები</i>	<i>არასაბაზრო მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>
ძირითადი საშუალებები - შენობა-ნაგებობები	87,442	- საბაზრო მეთოდი - დანახარჯების მეთოდი	- ფასის მერყეობის კორექტირება - ჩანაცვლების ხარჯი - წლიური ცვეთის ხარჯი (ფიზიკური, ფუნქციონალური, ეკონომიკური) - მიწის ფასის მერყეობის კორექტირება	(20%) 25%-მდე
საინვესტიციო ქონება - კომერციული დანიშნულების შენობა	1,871	- საბაზრო მეთოდი	- ფასის მერყეობის კორექტირება	(16%) 19%-მდე
საინვესტიციო ქონება - კომერციული დანიშნულების შენობა	332	- დანახარჯების მეთოდი	- ჩანაცვლების ხარჯი - წლიური ცვეთის ხარჯი (ფიზიკური, ფუნქციონალური, ეკონომიკური) - მიწის ფასის მერყეობის კორექტირება	(10%) 9%-მდე
საინვესტიციო ქონება - კომერციული დანიშნულების შენობა	950	- დანახარჯების მეთოდი	- ჩანაცვლების ხარჯი - წლიური ცვეთის ხარჯი (ფიზიკური, ფუნქციონალური, ეკონომიკური) - მიწის ფასის მერყეობის კორექტირება	(5%) 5%-მდე
საინვესტიციო ქონება - კომერციული დანიშნულების შენობა	1,762	- შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი (დისკონტირებუ ლი ფულადი ნაკადები)	- უქმად მოცდენის წლიური საშუალო მაჩვენებელი - 1 კვ.მ.-ის იჯარა - დისკონტირების წლიური განაკვეთი	(12%) 3%-მდე
საინვესტიციო ქონება - კომერციული დანიშნულების შენობა	73	- საბაზრო მეთოდი	- ფასის მერყეობის კორექტირება	(22%) 13%-მდე

(ათას ლარში)

### 23. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ცხრილი ქვემოთ გვიჩვენებს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი აღდგენა ან დაფარვა.

	2013			2012		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	355,089	–	355,089	232,954	–	232,954
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	40,451	–	40,451	2,673	–	2,673
კლიენტებზე გაცემული სესხები დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	379,610	220,470	600,080	235,044	143,074	378,118
	80,495	52,946	133,441	18,412	40,747	59,159
<b>სულ</b>	<b>855,645</b>	<b>273,416</b>	<b>1,129,061</b>	<b>489,083</b>	<b>183,821</b>	<b>672,904</b>
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,342	–	2,342	28,173	–	28,173
ვალდებულებები კლიენტების მიმართ:	682,766	475,905	1,158,671	402,698	293,719	696,417
მიმდინარე ანგარიშები	347,515	403,184	750,699	186,123	266,643	452,766
ვადიანი დეპოზიტები	335,251	72,721	407,972	216,575	27,076	243,651
სხვა ვალდებულებები	2	–	2	274	–	274
<b>სულ</b>	<b>685,110</b>	<b>475,905</b>	<b>1,161,015</b>	<b>431,145</b>	<b>293,719</b>	<b>724,864</b>
<b>წმინდა</b>	<b>170,535</b>	<b>(202,489)</b>	<b>(31,954)</b>	<b>57,938</b>	<b>(109,898)</b>	<b>(51,960)</b>

კლიენტთა დეპოზიტების დივერსიფიცირება დეპოზიტორთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით და ჯგუფის გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ანგარიშები და დეპოზიტები წარმოადგენს დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს, აქედან გამომდინარე ისინი განთავსებულია გეპის ანალიზის ცხრილში მითითებული სახსრების ვადინების სავარაუდო დროის მიხედვით ჯგუფის მიერ წინა პერიოდების დროს დაგროვილი სტატისტიკური მონაცემისა და მიმდინარე ანგარიშების ნაშთების „მუდმივ“ ნაწილთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდების საფუძველზე.

*(ათას ლარში)***23. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)**

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების მიმართ ვალდებულებებმა შეადგინა 1,158,671 ლარი (2012 წ.: 696,417 ლარი). აქედან მიმდინარე ანგარიშებზე მოდიოდა 750,699 ლარი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 452,766 ლარი - 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკი ყოველდღიურად ატარებს ბოლო ორი წლის პერიოდში მიმდინარე ანგარიშების სტაბილურობის ანალიზს. წინა 24 თვის შესაბამის პერიოდებში მათი ნაშთები არ ყოფილა 403,184 ლარზე ნაკლები (2012 წ.: 266,643 ლარი). ამიტომ, ზედა გრაფიკში ეს თანხები ასახულია, როგორც ვალდებულებები კლიენტების მიმართ ერთ წელზე მეტი ვადის დიაპაზონში. კლიენტების მიმართ ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები რომ გაგვეთვალისწინებინა, კუმულაციური ლიკვიდურობის გეპი ერთ წელიწადში, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უარყოფითი იქნებოდა და შეადგენდა 232,649 ლარს (2012 წლის 31 დეკემბერი: უარყოფითი 208,705 ლარი).

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს საკმარისი ლიკვიდური უზრუნველყოფა აქვს, რათა შეტყობინებისთანავე მოიხიდოს სებ-იდან 126,770 ლარი (2012 წ.: 54,622 ლარი).

2013 წლის 14 ივნისს სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა დაადასტურა ბანკის უცხოური ვალუტის გამომშვების გრძელვადიანი "B" რეიტინგი; უცხოური ვალუტის გამომშვების მოკლევადიანი "B" რეიტინგი; ინდივიდუალური რეიტინგი D/E; Support Rating - "4"; Support Rating Floor - "B". უცხოური ვალუტის გამომშვების გრძელვადიანი რეიტინგი სტაბილური პერსპექტივითაა მინიჭებული (2010 წელს სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა ბანკს მიანიჭა უცხოური ვალუტის გამომშვების გრძელვადიანი "B" რეიტინგი; უცხოური ვალუტის გამომშვების მოკლევადიანი "B" რეიტინგი; ინდივიდუალური რეიტინგი D/E; Support Rating - "4" და Support Rating Floor - "B". უცხოური ვალუტის გამომშვების გრძელვადიანი რეიტინგი სტაბილური პერსპექტივითაა მინიჭებული).

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში)

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებებიდან მიღებული შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი ასეთია:

	2013				2012			
	ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენის მშობელი კომპანია	საერთო კონტ-როლს დაქვემდებარებული მქონე საწარმოები	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	მშობელი კომპანია	ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენის მშობელი კომპანია	საერთო კონტ-როლს დაქვემდებარებული მქონე საწარმოები	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	მშობელი კომპანია
<b>1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხი</b>	-	-	-	<b>258</b>	-	-	-	<b>208</b>
წლის განმავლობაში გაცემული სესხი	-	-	-	208	-	-	-	50
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	-	-	-	(319)	-	-	-	-
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხი</b>	-	-	-	<b>147</b>	-	-	-	<b>258</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	3	-	-	-	5
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხი, წმინდა</b>	-	-	-	<b>144</b>	-	-	-	<b>253</b>
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	-	-	22	-	-	-	29
სესხის გაუფასურების რეზერვის (ამობრუნება)/ ხარჯი	-	-	-	(2)	-	-	-	-

(ათას ლარში)

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

	2013				2012			
	ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	მშობელი კომპანია	ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები	მშობელი კომპანია
<b>ანაზრები 1 იანვრის მდგომარეობით</b>	-	-	-	<b>1,718</b>	-	-	-	<b>30</b>
წლის განმავლობაში მიღებული ანაზრები	620	-	587	654	-	-	-	1,905
წლის განმავლობაში დაფარული ანაზრები	-	-	-	(2,012)	-	-	-	(217)
<b>ანაზრები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>620</b>	-	<b>587</b>	<b>360</b>	-	-	-	<b>1,718</b>
მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით	48	9	1,089	2,175	303	-	574	631
საპროცენტო ხარჯი ანაზრებზე პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქების საპროცენტო ხარჯი	17	0	90	209	118	-	-	271
გაცემული გარანტიები	-	-	850	-	-	-	-	-
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	-	-	292	5	-	-	-	2
სხვა საოპერაციო ხარჯები	36	-	478	180	-	-	-	335

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებს მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომლებზეც ჯგუფის აქციონერები გარკვეულ კონტროლს ახორციელებენ და რომლებიც ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ.

(ათას ლარში)

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წამყვანი თანამშრომლების რაოდენობა შეადგენდა 11-ს (2012 წ.: 12) და მათი ანაზღაურება იყო:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	3,618	2,714
გაწეული სამსახურისთვის გაცემული ფულადი პრემია		
კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების შესასყიდად	1,164	-
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია	-	211
<b>ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, სულ</b>	<b>4,782</b>	<b>2,925</b>

**25. კაპიტალის ადეკვატურობა**

ბანკის საქმიანობას არეგულირებს სებ-ი. შესაბამისად, ბანკი სებ-ს წარუდგენს თავისი ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ ყოველთვიურ ანგარიშს (“ყოველთვიური ზედამხედველობის ანგარიში”). ეს უკანასკნელი, *სხვა მონაცემებთან ერთად* მოიცავს ბანკის I რიგის და მთლიანად კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლებს, რომლებიც გაანგარიშებულია სებ-ის მიერ მოთხოვნილი მეთოდოლოგიით. კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების სებ-ის მეთოდები გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებში ბაზელ I-ის მოთხოვნებისგან განსხვავდება, თუმცა უფრო მკაცრია, სხვა ფაქტორებთან ერთად, საბაზრო რისკის მიხედვით აქტივების უფრო მაღალი შეწონვის გამო.

ბანკი ინარჩუნებს აქტიურად მართვად კაპიტალის ბაზას, რათა დაფაროს საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები, აგრეთვე გეგმავს კაპიტალის ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობა, სხვა საშუალებებთან ერთად მოწმდება სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით, ასევე 1998 წლის Basel Capital Accord - ის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით ჯგუფის მართვასთან მიმართებაში.

მინიმალური I რიგის და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები, რომლებსაც მოითხოვს სებ-ი, შეადგენს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8%-ს და 12%-ს, შესაბამისად. ბანკის I რიგის და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები იყო სავალდებულო მინიმუმზე მაღალი 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

*სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*

სებ-ი ბანკებისაგან ითხოვს რისკით შეწონილი აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის – 12%-ის შენარჩუნებას, ასევე რისკით შეწონილი აქტივების ძირითადი (I რიგის) კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის – 8%-ის შენარჩუნებას, რაც გამოითვლება ბანკის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, რომელიც მომზადებულია სებ-ის მოთხოვნების მიხედვით. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
ძირითადი კაპიტალი	72,691	59,975
დამატებითი კაპიტალი	48,895	17,726
გამოკლებული: გამოქვითვები კაპიტალიდან	(1,458)	(1,458)
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>120,128</b>	<b>76,243</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>888,121</b>	<b>620,796</b>
პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	8.18%	9.66%
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	13.53%	12.28%

(ათას ლარში)

## 25. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

2013 წლის 23 ოქტომბერს სებ-მა დაამტკიცა (თავისი #100/04 დადგენილებით) რისკით შეწონილი აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის გადასინჯული მინიმალური კოეფიციენტი – 10.5%, ასევე რისკით შეწონილი აქტივების ძირითადი (I რიგის) კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის – 8.5%, და რისკით შეწონილი აქტივების საერთო კაპიტალის კოეფიციენტი - 7%, რაც გამოითვლება ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ბანკებს მოეთხოვებოდათ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების როგორც ძველი, ისე ახალი მეთოდით გაანგარიშება. 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ახალი დადგენილების თანახმად ასეთი იყო:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
<b>სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>118,030</b>	<b>74,941</b>
პირველი რიგის კაპიტალი	107,972	67,964
პირველი რიგის კაპიტალის საერთო კოეფიციენტი	102,793	67,071
<b>პირველი რიგის დამატებითი კაპიტალი</b>	<b>5,179</b>	<b>893</b>
მეორე რიგის კაპიტალი	10,058	6,977
სულ რისკის მიხედვით შეწონილი	950,819	676,647
სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	12.41%	11.08%
პირველი რიგის კაპიტალის კოეფიციენტი	11.36%	10.04%
პირველი რიგის კაპიტალის საერთო კოეფიციენტი	10.81%	9.91%

*კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1998 წლის Basel Capital Accord-ის მიხედვით*

ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, რომლებიც გაანგარიშებულია კაპიტალის შესახებ ბაზელის 1998 წლის შეთანხმების შესაბამისად, შემდგომი ცვლილებების, მათ შორის საბაზრო რისკებთან დაკავშირებული ცვლილებების გათვალისწინებით, 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

	<b>2013</b>	<b>2012</b>
პირველი რიგის კაპიტალი	93,827	77,897
მეორე რიგის კაპიტალი	29,915	27,618
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>123,742</b>	<b>105,515</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>783,891</b>	<b>575,684</b>
პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.97%	13.53%
მეორე რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	15.79%	18.33%

(ათას ლარში)

**26. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები**

2013 წლის 31 ოქტომბერს სს "ლიბერთი ბანკის" ყოფილმა აქციონერებმა - ირინა ჯინჭარაძემ, ელენა კოვალენკომ და თამარ მარშანიამ (შემდგომში "თავდაპირველი მოსარჩელები") - სარჩელი შეიტანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების - შპს "ევროოილი", სს "ლიბერთი ბანკი", შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია", შპს "ლიბერთი კაპიტალი", "ლიბერთი ინვესტმენტს ჰოლდინგ ბივი" (შემდგომში "მოპასუხეები") წინააღმდეგ და მოითხოვეს ერთი მხრივ, შპს "ევროოილსა" და მეორე მხრივ, ირინა ჯინჭარაძეს, ელენა კოვალენკოს, გიორგი გოგუაძეს, თამარ მარშანიას, გაიოზ მარშანიას, ანა აგურეევასა და სტარ კოუდ რესორს ლიმიტედს შორის 2008 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების (2008 წლის 29 დეკემბერს შეცვლილი სახით) ნაწილობრივი გაუქმება. აღნიშნული ხელშეკრულება ეხებოდა ბანკის 1,403,223,900 ჩვეულებრივი აქციის ყიდვა-გაყიდვას (რისთვისაც გამყიდველი აქციონერების მიერ მიღებული საზღაური 2.76-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის კაპიტალის საბალანსო ღირებულება ფასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის მიხედვით), საიდანაც ბანკის 801,454,200 ჩვეულებრივი აქცია თავდაპირველ მოსარჩელებს გაყიდული ჰქონდათ 20,835 ლარის ერთობლივ საზღაურად. თავდაპირველმა მოსარჩელებმა მოითხოვეს ბანკში ერთ-ერთი მოპასუხის - შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას" კუთვნილი ჩვეულებრივი აქციების 50.97% წილის და სს "ლიბერთი ბანკის" კუთვნილი უძრავი ქონების ცხრა ობიექტის დაყადაღება სასამართლო ბრძანების საფუძველზე.

2013 წლის 1 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ირინა ჯინჭარაძის, ელენა კოვალენკოს და თამარ მარშანიას მოთხოვნა და დააყადაღა ბანკის მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების 50.97%-იანი წილი, რომელიც შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას" საკუთრებაში იყო. 2013 წლის 21 ნოემბერს კიდევ ერთმა ყოფილმა აქციონერმა - ანა გერბიაკმა (თავდაპირველი მოსარჩელები და ანა გერბიაკი შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც "ყოფილი აქციონერები") შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების - შპს "ევროოილი", სს "ლიბერთი ბანკი", შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია", შპს "ლიბერთი კაპიტალი", "ლიბერთი ინვესტმენტს ჰოლდინგ ბივი" წინააღმდეგ. წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივი გაუქმების მოთხოვნით. ანა გერბიაკმა მოითხოვა სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ბანკის მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების 7.21%-იანი წილის დაყადაღება, რომლის მფლობელიც ერთ-ერთი მოპასუხე - შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია" იყო.

2013 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ანა გერბიაკის მოთხოვნა და დააყადაღა ბანკის ჩვეულებრივი აქციების 7.21%-იანი წილი, რომელიც შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას" საკუთრებაში იყო. ამის შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 31 დეკემბერს შპს "ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას" საკუთრებაში არსებული ბაკის 3,201,321,628 ჩვეულებრივი აქცია (რაც ფასს-ის მიხედვით ჩვეულებრივი კაპიტალის საბალანსო ღირებულების (63,375 ლარის) ეკვივალენტურია) დააყადაღა სასამართლო დავის დასრულებამდე.

მოპასუხეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ორივე გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და მოითხოვეს ჩვეულებრივ აქციებზე ყადაღის გაუქმება, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა და საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნა შემდგომი განხილვისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ამის შემდეგ გააერთიანა თავდაპირველი მოსარჩელების და ანა გერბიაკის მიერ აღძრული სარჩელები და ამჟამად სამართალწარმოება ერთ საქმეზე მიმდინარეობს.

(ათას ლარში)

## 26. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ზემოაღნიშნული გასაჩივრების გარდა, მოპასუხეებმა თბილისის საქალაქო სასამართლო წამოაყენეს შუამდგომლობაც, რითაც მოითხოვეს, რომ ყოფილ აქციონერებს გაეცათ ადეკვატური გარანტია მასზედ, რომ დაიცავდნენ ბანკს პოტენციური ზიანისგან, რომელიც მას შეიძლება მიდგომოდა სასამართლო ბრძანების შედეგად. მოპასუხეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინეს სამი სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრება, რითაც დასტურდებოდა ამგვარი ზომების მიღების აუცილებლობა. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაოფილა მოპასუხეების შუამდგომლობა და 2014 წლის 14 მარტის მოსმენაზე მიღებული გადაწყვეტილებით ყოფილ აქციონერებს დაევალებათ 2.8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხის განთავსება გარანტიის სახით საგანგებოდ გამოყოფილ სპეციალურ სადეპოზიტო (გაყინულ) ანგარიშზე სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების თარიღიდან 7 (შვიდ) კალენდარულ დღეში. თუკი ყოფილი აქციონერები ზემოაღნიშნულ გარანტიას ვერ წარმოადგენენ, ეს ავტომატურად გამოიწვევს ბანკის აქციებზე ყადაღის გაუქმებას, თუ ყოფილი მოსარჩელები გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებენ. თავდაპირველმა მოსარჩელებმა მოთხოვნილი საგარანტიო თანხა 2.8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ვერ წარმოადგინეს, ამიტომ 2014 წლის 28 მარტს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აქციებზე ყადაღის მოხსნის თაობაზე. თავდაპირველ მოსარჩელებს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე აქვთ.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ზემოაღნიშნული სარჩელი უსაფუძვლოა და მისი მოლოდინით, სასამართლო დავა მოპასუხეების, მათ შორის ბანკის სასარგებლოდ გადაწყდება.